საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 15 (818) | სამშაბათი, 25 იანვარი, 1994 წელი | ფასი 500 კუპონი

პირველი სვეტი

ედუარდ შევარდნაძემ მიიღო დიდი ბრიტანეთის ელჩი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბრაიენ ფოლი.

ელჩმა სახელმწიფოს მეთაურს გადასცა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ბატონ ჯონ მეიჯორის წერილი, დაინტერესება საქართველოს დღევანდელი მდგომარეობით, თურქეთისა და საფრანგეთის რესპუბლიკებში საქართველოს დელეგაციების ვიზიტების შედეგებით. ჟენევის მოლაპარაკებებით და თავის მხრივ, როგორც საქართველოს „მეგობარი ქვეყნის“ წარმომადგენელმა მხარდაჭერა აღუთქვა საქართველოს ყველა იმ კეთილ წამოწყებაში, რომელიც საქართველოში დემოკრატიის მშენებლობას შეუწყობს ხელს.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ საუბრისას აღნიშნა, რომ საქართველო გრძნობს დიდი ბრიტანეთის არა მარტო პოლიტიკურ მხარდაჭერას, არამედ დიდად აფასებს ჰუმანური დახმარების მასშტაბებს. იმედი გამოთქვა, რომ დიდი ბრიტანეთისათვის შეუმჩნეველი არ დარჩება საქართველოს ლტოლვა აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარების თაობაზე და ისევე აქტიურად იმოქმედებს, როგორც ეს ჟენევის მოლაპარაკებებზე მოხდა.

სახელმწიფოს მეთაურის პრეს სამდივნო — საქინფორმი.

* * *

თბილისში გაიხსნა დიდი ბრიტანეთის საბჭოს კულტურის ცენტრი

საქართველოს განათლების სამინისტრომ და დიდი ბრიტანეთის საბჭომ თბილისში ერთობლივად გახსნეს [illegible] საბჭოს კულტურის ცენტრი.

ცენტრის გახსნა მნიშვნელოვანი ნაბიჯია ორი ქვეყნის ხალხის დაახლოებისა და თანამშრომლობის საქმეში, კულტურული ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და განმტკიცებისათვის, საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებისათვის.

ეს იქნება დიდი ბრიტანეთის პირველი მუდმივი წარმომადგენლობა საქართველოში, სადაც შექმნილია ინგლისური ენის შესწავლის შესანიშნავი საშუალება. აქ იმუშავებენ ინგლისიდან გამოგზავნილი სახელმძღვანელოების, ფირებისა და ვიდეოფირების საშუალებით, რაც ენის სრულყოფილ შესწავლას უზრუნველყოფს. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ ცენტრის საშუალებით საქართველოს მოსახლეობა უკეთ გაეცნობა დიდი ბრიტანეთის კულტურას, ისტორიასა და ტრადიციებს.

— საქართველო დიდი კულტურის, ტრადიციების მქონე ქვეყანაა, — განაცხადა დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ბრაიან ფოლმა, — და ვფიქრობ, ქართველი ხალხისთვის ეს იქნება საინტერესო კერა.

ამ დღეებში

გაატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

[illegible] მოვლენა კომენტარი

ფოტორეპორტაჟი პარიზიდან

საქართველო – საფრანგეთი: კეთილთანამშრომლობა!







სურათებზე: შეხვედრა პარიზის აეროპორტში; საქართველოს დელეგაციის რეზიდენცია პარიზში, სასტუმრო „კრიიონი“; ედუარდ შევარდნაძე და საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა მიტერანი; შეხვედრა იუნესკოს გენერალურ მდივანთან ფედერიკო მაიორთან; შეხვედრა ქართულ დიასპორასთან; ედუარდ შევარდნაძე და ბუტროს ბუტროს გალი.

საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტის ბადრი ვადაჭკორიას ფოტო.

დამთავრდა ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტი საფრანგეთში

სახელმწიფოს მეთაურის ბატონ ედუარდ შევარდნაძის საფრანგეთში ოფიციალური ვიზიტის მეორე დღე ძალზე დატვირთული აღმოჩნდა, რადგან პროგრამით გათვალისწინებულ შეხვედრებს წინასწარ დაუგეგმავი მეტად მნიშვნელოვანი მიღებები დაემატა.

დილით ბატონი ედუარდ შევარდნაძე ესაუბრა ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარეს ბ-ნ ფილიპ სეგენს. სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა, რომ დადგა ახალი ურთიერთობების დამყარების დრო და იგი სწორედ ამ მიზნით ესტუმრა საფრანგეთს. მან მადლობა გადაუხადა მასპინძლებს საქართველოთი დაინტერესებისათვის და დაამატა, რომ ბოლო დროს რუსეთში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე მსოფლიო საზოგადოებამ მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ. ბატონმა სეგენმა დაარწმუნა სახელმწიფოს მეთაური, რომ დასავლეთი და, კერძოდ,. საფრანგეთი დაინტერესებულია მრავალმხრივი ურთიერთობებით ახლადშექმნილ დამოუკიდებელ რესპუბლიკებთან, ოღონდ ამისათვის აუცილებელია სტაბილური ვითარების შექმნა. ამასთან დაკავშირებით ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ საქართველომ თავიდან აიცილა სამოქალაქო ომის საშიშროება, მაგრამ კვლავ რჩება აფხაზეთის პრობლემა. მან დაადასტურა, რომ ქართული მხარე ამ პრობლემის პოლიტიკური გზით გადაწყვეტის მომხრეა. ბატონი სეგენი დაინტერესდა საქართველოს ახალ კონსტიტუციაზე მუშაობის პროცესით. სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა, რომ სწორედ ახალი კონსტიტუცია გახდება აფხაზი ხალხის უფლებათა გარანტი და მის საფუძველზე განისაზღვრება აფხაზეთის სტატუსი. გარდა ამისა, საუბარი შეეხო ეკონომიკურ საკითხებს, საფრანგეთ-საქართველოს შორის საჰაერო მიმოსვლის გახსნას, თბილისის აეროპორტის შესაძლო რეკონსტრუქციას და უცხოური ინვესტიციების დაცვას. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიქვაიძე, პარლამენტის წევრები თამაზ გამყრელიძე და ირაკლი შენგელაია, საქართველოს ელჩი საფრანგეთში გოჩა ჩოგოვაძე, სხვა. ოფიციალური პირნი.

ეროვნულ ასამბლეაში ედუარდ შევარდნაძე შეხვდა საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტს, ასამბლეის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს ბ-ნ ვალერი ჟისკარ დ'ესტენს. საუბარი მრავალ თემას შეეხო. ჟისკარ დ'ესტენმა აღნიშნა, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესებს მსოფლიო მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, იგი დაინტერესდა რუსეთის დამოკიდებულებით ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან და ედუარდ შევარდნაძის მოსაზრებით იქ მიმდინარე პროცესების შესახებ. სახელმწიფოს მეთაურმა თქვა, რომ ჯერ კიდევ არ გაკეთებულა დეტალური ანალიზი იმისა, თუ რა მოხდა საბჭოთა კავშირში, რომ კიდევ არსებობს რუსეთში არადემოკრატიული გზით მოვლენების განვითარების საშიშროება, რაც დამღუპველი იქნება არა მარტო საქართველოსა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის. ამასთან დაკავშირებით ედუარდ შევარდნაძემ ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელია დემოკრატიული რუსეთის პოლიტიკური მხარდაჭერა და ახლადშექმნილი სახელმწიფოების მჭიდრო ეკონომიკური კავშირები დასავლეთთან. შეხვედრისას საუბარი აგრეთვე შეეხო საქართველოსა და საფრანგეთის პარლამენტებს შორის თანამშრომლობის პერსპექტივებს.

დღის მეორე ნახევარში ელისეს სასახლეში საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა აუდიენცია გაუმართა სახელმწიფოს მეთაურს. შეხვედრაზე ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ მსოფლიო თანამეგობრობა მზად არ აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის დაშლისათვის, რის გამოც ზოგიერთი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის აღდგენა მტკივნეულად მიმდინარეობს. დღეს მსოფლიოს წინაშე არის ორი ალტერნატივა — პროცესები ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ან დემოკრატიული, ან რეაქციული გზით წარიმართება. სამწუხაროდ, ზოგიერთ ქვეყანაში რეაქციული ძალების გავლენა დიდია, — თქვა მან. — რუსეთის გარკვეული წრეები საქართველოს განიხილავენ, როგორც რუსეთისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონს. საქართველოში მიმდინარე მოვლენებში, კერძოდ აფხაზეთის კონფლიქტის უკიდურესად გამწვავებაში, სწორედ გარეშე ფაქტორმა ითამაშა გადამწყვეტი როლი. საქართველოში შექმნილ სიტუაციაზე საუბრისას ედუარდ შევარდნაძემ სამი ძირითადი პრობლემა დაასახელა, რომელიც ხელს უშლის ქვეყანაში სტაბილურობის დამყარებას: სამოქალაქო ომის საფრთხე, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ ერთხელ უკვე თავიდან აიცილა, აფხაზეთის პრობლემა და ეკონომიკური მდგომარეობა. მან იმედი გამოთქვა, რომ უცხოეთის ქვეყნებთან, მათ შორის საფრანგეთთან ხელსაყრელი კონტაქტების დამყარება ხელს შეუწყობს ეკონომიკური ვითარების გაჯანსაღებას. რაც შეეხება აფხაზეთის პრობლემას, სახელმწიფოს მეთაურმა ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი, რომ იგი პოლიტიკური მოლაპარაკებების მომხრეა, „თუ შევძლებთ ამ პრობლემის პოლიტიკური გზით მოგვარებას, საქართველო სწრაფად განვითარდება. ამ პროცესებში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება რუსეთისა და დასავლეთის მხარდაჭერას“, — თქვა მან. ედუარდ შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა საფრანგეთის პრეზიდენტს იმასთან დაკავშირებით, რომ საფრანგეთის ინიციატივით შეიქმნა საქართველოს მეგობარ სახელმწიფოთა ინსტიტუტი, რომელიც დადებით როლს ასრულებს აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი მოგვარების საქმეში.

(დასასრული მე-2 გვ.).

ნომერში

⊙ საფრანგეთმა და საქართველომ ერთად უნდა ააშენონ ახალი ევროპა. 2

⊙ ისრაელი ელის ედუარდ შევარდნაძეს. 4

მის აღმატებულებას ედუარდ შევარდნაძეს — საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს

ძვირფასო ედუარდ, დიდი მადლობა თქვენი ამაღელვებელი და ინფორმაციული წერილისათვის. გარწმუნებთ, რომ საქართველოს მდგომარეობაზე გამუდმებით ვფიქრობ, ჩვენი მეგობრობა კი საქართველოში მომხდარ მოვლენებს კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის ჩემთვის.

მე თვალყურს ვადევნებ მოვლენათა განვითარებას ახალგაზრდა ქართველებთან საუბრების მეშვეობით, რომლებიც აქ იმყოფებიან და იმ ორი შეხვედრის საშუალებით, რომელიც ჩვენს ელჩ კენტ ბრაუნთან მქონდა. ამ შეხვედრებს ესწრებოდა ბობ მედერისიც და ჩვენ ვისაუბრეთ კონკრეტული და ნაყოფიერი დახმარების სხვადასხვა გზების შესახებ. ამ წერილს იგი მოგაწოდებთ და გადმოგცემთ ჩემს პირად მოსალმებასა და დიდ პატივისცემას.

ვიმედოვნებ, რომ მალე საქართველოში პოლიტიკური სტაბილურობა დამყარდება. ჩვენ გვესმის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს ეკონომიკის განვითარებისათვის. მჯერა, რომ ეკონომიკური კლიმატი მსოფლიო ეკონომიკაში კარგი იქნება მომდევნო რამდენიმე წლის მანძილზე, მიუხედავად დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და იაპონიის ამჟამინდელი არასახარბიელო მდგომარეობისა. არსებობს იმის ყველა ნიშანი, რომ სულ უფრო მეტი ქვეყანა ეწევა საბაზრო და კერძო მეწარმეობაზე აგებულ ეკონომიკურ პოლიტიკას, უერთდება მსოფლიო ბაზარს და ახორციელებს აზრიან საფინანსო-ფულად პოლიტიკას. ამის მეშვეობით ამ ქვეყნების ეკონომიკაც საპასუხოდ იცვლება, ხშირად კი — ძალზე მნიშვნელოვნად. დროა, საქართველოც დადგეს ამ გზას.

დიდი იმედი მაქვს, რომ გნახავთ, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოხვალთ.

1994 წლის პირველ ნახევარში ბევრს ვიმოგზაურებ შორეულ აღმოსავლეთში, ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ ამერიკაში. სადაც არ უნდა ვიყო, საქართველოზე მუდამ ვიფიქრებ ისე, როგორც ნანული და ედუარდ შევარდნაძეებზე.

კიდევ ერთხელ მოგესალმებით.

თქვენი მეგობარი
ჯორჯ შულცი.

ჰუვერის ინსტიტუტი. 4 იანვარი, 1994 წ.

საქართველო ითხოვს სასწრაფოდ გაიმართოს უშიშროების საბჭოს სხდომა

გაერო. საქართველომ მოითხოვა სასწრაფოდ გაიმართოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომა რეგიონში სამშვიდობო ძალების გაგზავნის შესახებ საკითხის განსახილველად. ეს განაცხადა ერთა გაერთიანების შტაბ-ბინაში 22 იანვარს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯო სილსმა.

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ბუტროს ბუტროს გალიმ ჟენევაში შეხვედრა გამართა საქართველოში თავის სპეციალურ წარმომადგენელთან ედუარდ ბრუნერთან. საქართველომ გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას სთხოვა მოიწვიოს უშიშროების საბჭოს სასწრაფო სხდომა რეგიონში სამშვიდობო ძალების გაგზავნის შესაძლებლობათა შესწავლისათვის, აგრეთვე აფხაზეთის ეკონომიკურ გარდაქმნაში დახმარების გასაწევად საერთაშორისო კომისიის შექმნისათვის“, — განაცხადა ჯ. სილსმა.

რუსეთის კონტინგენტის მონაწილეობით

გაერო, 22 იანვარი. (იტარ-საკდეს-საქინფორმი). საქართველო და აფხაზეთი მოითხოვენ განალაგონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო ძალები კონფლიქტის ზონაში და აცხადებენ, რომ „სურთ ასეთი ძალების შემადგენლობაში გამოიყენონ რუსეთის სამხედრო კონტინგენტი“. ეს ნათქვამია ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ ჟენევის მოლაპარაკების მეორე რაუნდის შედეგების გამო გამოქვეყნებულ კომუნიკეში, რომელიც პარასკევს გაავრცელეს აქ როგორც უშიშროების საბჭოს დოკუმენტი.

სამშვიდობო ძალების ჩამოსვლის შემდეგ, — აღნიშნულია დოკუმენტში, — „მხარეები ხუთი დღის განმავლობაში გაიყვანენ ყველა შეიარაღებულ ფორმირებას სამხედრო ტექნიკითურთ მდინარე ენგურიდან და აქტიური დაპირისპირების სხვა შესაძლო ზღუდეებიდან... შექმნილ ზონაში კი იმავდროულად შევლენ საერთაშორისო მეთვალყურენი და სამშვიდობო ძალები“. დოკუმენტში აღნიშნულია: ქართველთა და აფხაზთა მხარეებმა „აღიარეს, რომ მთავარი ამოცანაა მიაღწიონ კონფლიქტის სრული მასშტაბით პოლიტიკურ მოწესრიგებას და მთელი ძალისხმევა უნდა მოხმარდეს მის მიღწევას. ისინი შეთანხმდნენ განაგრძონ აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის პრობლემის განხილვა ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით. ამ საკითხზე ექსპერტთა მორიგი შეხვედრა დაიწყება მოსკოვში 8 თებერვალს.

ოთარ ფაცაციამ მიიღო დიდი ბრიტანეთის ელჩი

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა **ოთარ ფაცაციამ** მიიღო დიდი ბრიტანეთის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოში **ბრაიან ფოლი** და საელჩოს მდივნები ბატონები **ჯეფრი გემლანი** და **კიმ ხედლი ჯოუნსი.**

საუბარი შეეხო ორ ქვეყანას შორის მომავალი ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივებს. ბატონმა ბრაიან ფოლმა აღნიშნა, რომ დიდი ბრიტანეთი კვლავაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ცხოვრებაში. დამუშავებულია სხვადასხვა სფეროში ,თანამშრომლობის პროგრამა, რომელთა ამოქმედებაც უახლოეს მომავალში მოხდება.

ბატონმა ოთარ ფაცაციამ განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობას იმედი აქვს დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერისა აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საქმეში. გარდა ამისა, როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, საქართველოსათვის სასარგებლო და მნიშვნელოვანი იქნება ეკონომიკური, ფინანსური და საბანკო კადრების მომზადება ინგლისში, ბრიტანელი 'სპეციალისტების კონსულტაციები სოფლის მეურნეობის დარგში' კერძო სექტორის ინვესტირების შესახებ.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრის, დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციების ზონის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარის

ბრძანებულება

კომენდანტის საათის მოქმედების გაგრძელების შესახებ

გაგრძელდეს კომენდანტის საათის მოქმედება ქალაქებში სამტრედიაში, ფოთში, აბაშაში, სენაკში, მარტვილში, ხონში, ხობში, ლანჩხუთში, ოზურგეთში, ჩოხატაურში, ვანში, წალენჯიხაში, ზუგდიდში, ჩხოროწყუში 1994 წლის 20 თებერვლამდე.

კომენდანტის საათი მოქმედებს 20 საათიდან 06 საათამდე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრი, დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციების ზონის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარე

გივი ლომინაძე.

საქართველო-საფრანგეთი: კეთილთანამშრომლობა!

ხელშეკრულება

საქართველოს რესპუბლიკასა და საფრანგეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთგაგების, მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკა და საფრანგეთის რესპუბლიკა, შემდგომში მხარეებად წოდებულნი:

იღებენ რა მტკიცე გადაწყვეტილებას, განავითარონ თანამშრომლობა და მეგობრული ურთიერთობები;

დარწმუნებულნი იმის აუცილებლობაში, რომ თავიანთი ურთიერთობები დააფუძნონ ნდობის, თავისუფლების, საყოველთაოდ აღიარებული ღირებულებების, დემოკრატიისა და სამართლიანობის პრინციპებზე;

ცნობენ რა საერთაშორისო სამართლის უზენაესობას ქვეყნებს შორის ურთიერთობებში;

ეყრდნობიან რა გაეროს წესდების მიზნებსა და პრინციპებს;

ადასტურებენ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითი აქტის და ახალი ევროპისათვის პარიზის ქარტიის ხელმოწერით აღებულ ვალდებულებებს;

დარწმუნებულნი არიან, რომ ორი ქვეყნის თანამშრომლობის მომავალი მჭიდროდაა დაკავშირებული ევროპასა და აზიაში მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებასთან;

ითვალისწინებენ რა ევროპის კავშირის მშენებლობასა და მის მნიშვნელობას მშვიდობიანი და სოლიდარული ევროპის ჩამოყალიბების საქმეში;

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

საქართველოს რესპუბლიკა და საფრანგეთის რესპუბლიკა ვალდებულებას იღებენ განავითარონ თანამშრომლობა ურთიერთნდობისა და ორმხრივი ინტერესების საფუძველზე.

მხარეები ხელს უწყობენ ფრანგ და ქართველ ხალხებს შორის ურთიერთგაგებისა და მეგობრობის შემდგომ გაღრმავებას.

ამ ხელშეკრულების დებულებების განხორციელების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, მხარეები დადებენ ახალ შეთანხმებებს.

მუხლი 2

საქართველოს რესპუბლიკა და საფრანგეთის რესპუბლიკა თანამშრომლობენ, როგორც ორმხრივი, ასევე მრავალმხრივი ურთიერთობების ფარგლებში.

ერთგულნი არიან რა დემოკრატიისა და თავისუფლების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა, მხარეები თანამშრომლობენ შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებში ადამიანის უფლებების და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ხელშეწყობის სფეროში.

მხარეები მოქმედებენ, რათა თავიდან აიცილონ კონფლიქტები, უზრუნველყონ საერთაშორისო უსაფრთხოება და საერთაშორისო სამართლის უზენაესობა ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობაში.

მუხლი 3

საქართველოს რესპუბლიკა და საფრანგეთის რესპუბლიკა აზრთა გაზიარების მიზნით, შესაბამის დონეზე, რეგულარულად ატარებენ კონსულტაციებს, როგორც ორმხრივი, ასევე საერთაშორისო პრობლემების, კერძოდ კი ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ძირითადი საკითხების ირგვლივ.

ამ სფეროში მხარეები იმოქმედებენ ერთობლივად და შეთანხმებულად, რათა საჭიროების შემთხვევაში, მაქსიმალურად დააახლოვონ თავიანთი პოზიციები.

ამ მიზნით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, მოეწყობა უმაღლესი დონის შეხვედრები. საგარეო საქმეთა მინისტრები, როგორც წესი, ერთმანეთს შეხვდებიან წელიწადში ერთხელ.

საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლებს შორის სამუშაო შეხვედრები მოეწყობა საჭიროების მიხედვით.

ორი ხელშემკვრელი მხარის მთავრობათა წარმომადგენლები საჭიროებისდა მიხედვით შეხვდებიან ერთმანეთს ორმხრივი ინტერესების შემცველი საკითხების განსახილველად.

მუხლი 4

თუ ერთ-ერთი მხარის აზრით შეიქმნა სიტუაცია, რომ საფრთხე ემუქრება მშვიდობას, ირღვევა იგი, ან ეჭვის ქვეშ დგას ქვეყნის უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი ინტერესები, ამ მხარეს შეუძლია მიმართოს მეორე მხარეს ამ საკითხებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ მოეწყოს კონსულტაციები, მხარეები შეეცდებიან შექმნილი სიტუაციის დასაძლევად შეიმუშავონ ერთობლივი მიდგომა.

მუხლი 5

საქართველოს რესპუბლიკა და საფრანგეთის რესპუბლიკა კონსულტაციებს მართავენ იმ საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში, რომელთა წევრებიც არიან, განსაკუთრებით გაერო-ს ფარგლებში, რათა, საჭიროების შემთხვევაში, დააახლოვონ პოზიციები და უზრუნველყონ ამ ორგანიზაციის სფეროში მიღებული გადაწყვეტილებების მაქსიმალურად ეფექტური განხორციელება.

მუხლი 6

საფრანგეთის რესპუბლიკა ვალდებულებას იღებს ხელი შეუწყოს საქართველოს რესპუბლიკასა და ევროგაერთიანების სტრუქტურებს შორის ურთიერთობების განვითარებას.

ვალდებულებები, რომლებსაც იღებს საფრანგეთის რესპუბლიკა საქართველოს რესპუბლიკასთან ორმხრივი შეთანხმების მიხედვით, არ ეწინააღმდეგება ევროგაერთიანების სტრუქტურების უფლებამოსილებებს, აგრეთვე მათი ინსტიტუტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

მუხლი 7

საქართველოს რესპუბლიკა და საფრანგეთის რესპუბლიკა მჭიდროდ თანამშრომლობენ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ფარგლებში.

მხარეები შეთანხმებულად მოქმედებენ, რათა განამტკიცონ მისი ინსტიტუტები, კერძოდ იურიდიული თვალსაზრისით, რათა უზრუნველყონ სტაბილურობა, უსაფრთხოება და სამართლიანობა ევროპის კონტინენტზე.

მხარეები განსაკუთრებით შეუწყობენ ხელს ისეთი პრინციპების მიღებას, რომლებიც დადებით როლს შეასრულებენ კონფლიქტების თავიდან აცილების საქმეში.

მხარეები ითანამშრომლებენ ერთმანეთთან და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებთან ევროპაში უსაფრთხოების ხელშეკრულების დადების მიზნით.

მუხლი 8

საფრანგეთის რესპუბლიკა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ევროპის კავშირის შექმნას, რაც ითვალისწინებს საერთო საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის გატარებას, გააძლიერებს ევროპის ქვეყნებს შორის თანამშრომლობას და მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ევროპასა და მთლიანად მსოფლიოში სტაბილურობის განმტკიცების საქმეში.

საქართველო მთლიანად იზიარებს ამ პოზიციას.

მუხლი 9

საქართველოს რესპუბლიკა და საფრანგეთის რესპუბლიკა ხაზს უსვამენ განიარაღების შესახებ შეთანხმებათა მნიშვნელობას ევროპისა და საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის, მხარს უჭერენ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის, განსაკუთრებით უშიშროების ფორუმის ფარგლებში განიარაღების პროცესს, ურთიერთნდობისა და უშიშროების განმტკიცებას, კონფლიქტების თავიდან აცილებას.

მხარეები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ისეთი ზომების მიღებას, რომელთა მიზანია მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა, ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდვა და ამ მიზნით შეთანხმებული მოქმედება საერთაშორისო ორგანიზაციებში.

საფრანგეთის რესპუბლიკა კმაყოფილებით შეხვდა საქართველოს რესპუბლიკის გადაწყვეტილებას იყოს ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ქვეყანა.

მუხლი 10

საფრანგეთის რესპუბლიკა და საქართველოს რესპუბლიკა ავითარებენ და აღრმავებენ კონტაქტებს სამხედრო სფეროში. ამ მიზნით მხარეები რეგულარულად აწარმოებენ აზრთა გაცვლას თავიანთი თავდაცვითი კონცეფციების შესახებ.

მხარეები ხელს უწყობენ ურთიერთობის განვითარებას საგარეო და თავდაცვის სამინისტროებს შორის, აგრეთვე ორი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბებს შორის.

მუხლი 11

საფრანგეთის რესპუბლიკა და საქართველოს რესპუბლიკა განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებენ თანამშრომლობას სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკისა და სამეცნიერო კვლევით დარგებში.

მუხლი 12

საფრანგეთის რესპუბლიკა და საქართველოს რესპუბლიკა ავითარებენ თანამშრომლობას ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში კადრების მომზადების საქმეში. თითოეული მხარე ცდილობს თავის ტერიტორიაზე გააუმჯობესოს მეორე მხარის საწარმოებისათვის სამუშაო პირობები, განსაკუთრებით პირდაპირი ინვესტიციებისა და კაპიტალდაბანდებათა დაცვის მიზნით.

მხარეები ხელს უწყობენ ეკონომიკური ინფორმაციის ფართო გაცვლას და უზრუნველყოფენ ამ ინფორმაციის მიწოდებას ორი ქვეყნის საქმიანი და სამეცნიერო წრეების წარმომადგენელთათვის, საფრანგეთის რესპუბლიკა შეძლებისდაგვარად აღმოუჩენს ტექნიკურ დახმარებას საქართველოს რესპუბლიკას კადრების მოსამზადებლად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 13

საფრანგეთის რესპუბლიკა და საქართველოს რესპუბლიკა ხელს უწყობენ ორი სახელმწიფოს პარლამენტების თანამშრომლობას.

მუხლი 14

საქართველოს რესპუბლიკა და საფრანგეთის რესპუბლიკა ავითარებენ პირდაპირ კავშირებს ორი ქვეყნის ქალაქებსა და რეგიონებს შორის, კერძოდ ახდენენ ქალაქებს შორის დაძმობილებას ამ ხელშეკრულების დებულებათა გათვალისწინებით.

მხარეები ხელს შეუწყობენ ორი ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობას.

მუხლი 15

საქართველოს რესპუბლიკა და საფრანგეთის რესპუბლიკა ავითარებენ თანამშრომლობას განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში.

მხარეები ხელს უწყობენ ორივე სახელმწიფოში კულტურული დაწესებულებების დაარსებას, თითოეული მხარე შეეცდება უკეთესად გააცნოს მოსახლეობას მეორე მხარის მეცნიერული, ტექნიკური და კულტურული მიღწევები, ამ მიზნით, გააადვილებს მეორე მხარის ლიტერატურის და პრესის მიწოდებასა და გავრცელებას.

თითოეული მხარე ცდილობს ყველა დაინტერესებულ პირს საშუალება მისცეს შეისწავლოს მეორე მხარის ენა, კულტურა, ლიტერატურა და ისტორია.

საქართველოს რესპუბლიკის და საფრანგეთის რესპუბლიკის ხალხებს შორის ურთიერთგაცნობის მიზნით, მხარეები ავითარებენ თანამშრომლობას ინფორმაციის საშუალებათა სფეროში.

მხარეები ხელს უწყობენ ორი სახელმწიფოს მოქალაქეთა შორის კავშირების დამყარებას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის.

მხარეები აგრეთვე ავითარებენ თანამშრომლობას სპორტისა და ტურიზმის სფეროში. მხარეები შეიმუშავებენ ერთობლივ პროგრამებს, რომლებიც განსაზღვრავენ თანამშრომლობისა და ურთიერთგაცვლის პრიორიტეტულ მიმართულებებს კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში, და ადგენენ კონკრეტულ ღონისძიებებს მათი განხორციელებისათვის, ხელს შეუწყობენ უნივერსიტეტებს, უმაღლესი განათლების სხვა დაწესებულებებს, სამეცნიერო კვლევით ცენტრებს, კულტურის დაწესებულებებსა და სხვა შესაბამის უწყებებს შორის პირდაპირი კავშირების დამყარებას.

მუხლი 16

საქართველოს რესპუბლიკა და საფრანგეთის რესპუბლიკა, ითვალისწინებენ რა გარემოს დაცვის მნიშვნელობას, მჭიდროდ თანამშრომლობენ ამ სფეროში და ვალდებულებას იღებენ ხელი შეუწყონ შეთანხმებულ ურთიერთქმედებას ევროპისა და მსოფლიოს მასშტაბით.

მუხლი 17

საქართველოს რესპუბლიკა და საფრანგეთის რესპუბლიკა მჭიდროდ თანამშრომლობენ საკონსულო სფეროში. მხარეები ქმნიან შესაბამის პირობებს ამ ორი სახელმწიფოს მოქალაქეებს შორის მიმოსვლის ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 18

საქართველოს რესპუბლიკა და საფრანგეთის რესპუბლიკა ხელს უწყობენ ორი სახელმწიფოს სამართალდამცავ დაწესებულებებს შორის თანამშრომლობას, განსაკუთრებით ურთიერთდახმარებას სამოქალაქო სამართლის სფეროში.

მხარეები ეწევიან თანამშრომლობას ინტერპოლის სისტემაში საზოგადოებრივი წესრიგის დამცველ დაწესებულებებს შორის; ერთობლივად იბრძვიან ორგანიზებულ დამნაშავეობის, ნარკოტიკებისა და კონტრაბანდის, მათ შორის ხელოვნების ნიმუშების უკანონოდ გატანის წინააღმდეგ; აღრმავებენ თანამშრომლობას საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში.

მუხლი 19

საქართველოს რესპუბლიკა და საფრანგეთის რესპუბლიკა თანამშრომლობენ ჰუმანიტარული დახმარების სფეროში და ხელს უწყობენ უფლებამოსილ დაწესებულებებს შორის შესაბამისი კავშირების დამყარებას.

მუხლი 20

ამ ხელშეკრულების დებულებები არ ეწინააღმდეგება მხარეების მიერ მესამე ქვეყნის მიმართ აღებულ ვალდებულებებს და არ არის რომელიმე მათგანის საპირისპიროდ მიმართული.

მუხლი 21

ეს ხელშეკრულება რატიფიკაციას ექვემდებარება და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლიდან ოცდაათი დღის შემდეგ.

ხელშეკრულება იდება ათი წლის ვადით და ავტომატურად გაგრძელდება ყოველი ხუთი წლის შემდეგ. თითოეულ მხარეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოახდინოს ხელშეკრულების დენონსაცია მეორე მხარისადმი დიპლომატიური არხებით დენონსაციის შესახებ წერილობითი შეტყობინების მეშვეობით. დენონსაცია ძალაში შევა ზემოაღნიშნული შეტყობინების მიღებიდან ექვსი თვის შემდეგ.

შესრულებულია ქ. პარიზში 1994 წლის 21 იანვარს ორ ეგზემპლარად, თითოეული ფრანგულ და ქართულ ენებზე. ამასთან ორივე ტექსტს აქვს თანაბარი ძალა.

საქართველოს რესპუბლიკის სახელით
ედუარდ შევარდნაძე,

საფრანგეთის რესპუბლიკის სახელით
ფრანსუა მიტერანი

დამთავრდა ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტი საფრანგეთში

(დასასრული)

მოხდა აზრთა ურთიერთგაზიარება რუსეთის სათათბიროს არჩევნების შედეგების შესახებ. ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ რუსეთი იმ შემთხვევაში შეძლებს პოზიტიური როლის შესრულებას თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში, თუ იგი განვითარების დემოკრატიულ გზას აირჩევს. სახელმწიფოს მეთაურის აზრით, რუსეთში ახალი კონსტიტუციის მიღება განამტკიცებს პრეზიდენტ ელცინის ძალაუფლებას და გახდება ამ ქვეყანაში სტაბილურობის გარანტი.

ელისეს სასახლეში საფრანგეთის პრეზიდენტმა სახელმწიფოს მეთაურის პატივსაცემად სადილი გამართა, რომელსაც საქართველოს ოფიციალური დელეგაციის წევრებიც ესწრებოდნენ. იმავე დარბაზში შედგა პარიზის ქარტიაზე და საქართველოს და საფრანგეთს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების ხელშეკრულებებზე ხელმოწერის საზეიმო ცერემონიალი. სახელმწიფოს მეთაურმა ბატონი მიტერანი ოფიციალურ ვიზიტად მიიწვია საქართველოში. მოწვევა კმაყოფილებით იქნა მიღებული.

საფრანგეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულებები ნიშნავს, რომ საფუძველს ვუყრით თანამშრომლობისა და ორმხრივი მოქმედების ურთიერთობას, — თქვა ხელმოწერის ცერემონიაზე გამოსვლისას ფ. მიტერანმა. დღეს საქართველო აწყდება პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის მნიშვნელოვან სიძნელეებს და მას შეუძლია იქონიოს თავისი მეგობრების სოლიდარობის იმედი, აღნიშნა საფრანგეთის პრეზიდენტმა. ჩვენ ერთად უნდა ვიმოქმედოთ ევროპაში, რომელიც ახლა ხელახლა შენდება, და ჩვენ ორ ქვეყანას ეკისრება პასუხისმგებლობა ამ საქმის წარმატებისათვის, — თქვა საფრანგეთის სახელმწიფოს მეთაურმა.

დღევანდელი დოკუმენტების ხელმოწერა ისტორიული მომენტია საქართველოსათვის, — თქვა საპასუხო სიტყვაში ე. შევარდნაძემ. დღეს ძნელი პერიოდი გვიდგას, მაგრამ მწამს საქართველოს მომავლის, და ეს, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია იმასთან, რომ მსოფლიოში გვყავს მეგობრები. პარიზში დიდი იმედებით ჩამოვედით, და უნდა გითხრათ, ახდა ეს იმედები. დღეს ვწერთ ახალ ფურცელს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში, — განაცხადა საქართველოს რესპუბლიკის მეთაურმა.

საღამოს ბატონ ედუარდ შევარდნაძის რეზიდენციას ეწვია ქალაქ პარიზის მერი ჟაკ შირაკი. ორმხრივი მისალმების შემდეგ ბატონი შირაკი დაინტერესდა საქართველოში მიმდინარე მოვლენებით. სახელმწიფოს მეთაურმა ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომლებიც ყველაზე მეტად აწუხებს საქართველოს, ახსნა თანამეგობრობაში შესვლის მოტივები. შემდეგ ბატონმა შევარდნაძემ პარიზის მერის თხოვნით, თავისი შეფასება მისცა რუსეთში მიმდინარე პროცესებს. აღნიშნა, რომ მთელი მსოფლიო უნდა ამოუდგეს მხარში დემოკრატიულ ძალებს, რათა არ დაუშვან რეაქციული ფრთის გაძლიერება. შეხვედრის დასასრულს ბატონმა შირაკმა ბრძანა, რომ მისი სახით, საქართველოს საფრანგეთში დიდი მეგობარი ჰყავს, და რომ იგი ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა დაეხმაროს ჩვენს ქვეყანას შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევაში, აგრეთვე აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საქმეში.

საღამოს სასტუმრო „კრიიონში“ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ედუარდ შევარდნაძემ დადებითად შეაფასა საფრანგეთში მისი ვიზიტის შედეგები. პასუხი გასცა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

მიღწეულია ვიზიტის მთავარი მიზანი, რომლის არსი ის არის, რომ ნორმალური ურთიერთობა დავამყაროთ საფრანგეთთან, განვიხილოთ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური პრობლემები მის ხელმძღვანელობასთან, — თქვა საქართველოს ხელმძღვანელმა. საფრანგეთი შეგვპირდა, რომ დაეხმარება საქართველოს სხვადასხვა დარგებში, მათ შორის აქტიურად მიიღებს მონაწილეობას ინგლისთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, გერმანიასთან ერთად საქართველოს მეგობარ სახელმწიფოთა ჯგუფის მუშაობაში, რომლის მიზანია აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგება.

რუსეთთან ურთიერთობის განვითარებას საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, — აღნიშნა ე. შევარდნაძემ. მან ხაზი გაუსვა, რომ მის ქვეყანაში დიდ იმედებს ამყარებენ თებერვლის დამდეგს თბილისში რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის ვიზიტზე. იმედი მაქვს, რომ ჩვენი იმედები გამართლდება, აღნიშნა მან.

ჩვენ ბევრი რამ ვუთხარით ჩვენს ფრანგ თანამოსაუბრეებს ახალი რუსეთის, აგრეთვე მსოფლიოში მისი ახალი როლის შესახებ — მხედველობაში მაქვს პოსტკომუნისტური პერიოდი, — აღნიშნა ე. შევარდნაძემ იტარ-ტასის კორესპონდენტის კითხვის პასუხად. ჩვენ განვაცხადეთ, რომ ამ როლის შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ რუსეთი ივლის დემოკრატიული გზით. ძალიან მნიშვნელოვან მოვლენად მივაჩნია რუსეთის ახალი კონსტიტუციის მიღება, და ხაზს ვუსვამთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ქვეყანაში პრეზიდენტის ხელისუფლებას როგორც დემოკრატიის გარანტს, — განაცხადა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა.

გვიან საღამოს სახელმწიფოს მეთაური დიპლომატიური აკადემიის შენობაში შეხვდა ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებს და ესაუბრა საქართველოს წინაშე მდგარი პრობლემებისა და ერის გამთლიანების აუცილებლობის შესახებ.

დღის დასასრულს, ბატონი ედუარდ შევარდნაძე შეხვდა გაეროს გენერალურ მდივანს ბუტროს ბუტროს გალის.

შეხვედრის დროს ძირითადი ყურადღება დაეთმო აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხს. ჟენევაში მიღწეულ მორიგებათა პრაქტიკული ხორცშესხმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანამიმდევრულ პოზიციას, უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს ამ საკითხზე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა კონფლიქტის ზონაში შევიდნენ სამშვიდობო ძალები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით. ამ საკითხში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა როგორც საერთაშორისო გაერთიანებას, ისე რუსეთს. დაინტერესებულმა მხარეებმა გულდასმით უნდა დახვეწონ არსებული პროექტები. დიდი მუშაობა უნდა განხორციელდეს პოზიციათა შეთანხმებისა და დაახლოებისათვის.

როგორც ედუარდ შევარდნაძემ თქვა, შეხვედრებმა პარიზში ერთხელ კიდევ დაარწმუნეს იგი, თუ რამდენად მკაფიოდ აქვთ გაცნობიერებული დასავლეთის ლიდერებს, ავტორიტეტიან საერთაშორისო ორგანიზაციებს აფხაზეთის კონფლიქტის უსწრაფესი მოწესრიგების მნიშვნელობა როგორც საქართველოსა და კავკასიის რეგიონის ინტერესებისათვის, ისე მშვიდობის შენარჩუნებისთვისაც გლობალური მასშტაბით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აქტიური როლი, რუსეთის ძალისხმევა, წამყვანი ქვეყნების, მათ შორის საფრანგეთის, მხარდაჭერაც ამ პრობლემის წარმატებული გადაჭრის გარანტი უნდა გახდეს.

22 იანვარს 17 საათზე საქართველოს ოფიციალური დელეგაცია თბილისს დაბრუნდა.

განმარტა რა საფრანგეთის ვიზიტის შედეგები, ედუარდ შევარდნაძემ იგი შეაფასა როგორც ახალი ეტაპის დასაწყისი საქართველოსა და საფრანგეთის ურთიერთობაში. იგი შეეხო ორ ძირითად საკითხს, რომლებიც პარიზში განიხილეს — ეკონომიკურსა და პოლიტიკურს. პოლიტიკური ასპექტით სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა თანხმობის, მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერა, შეხვედრები პრეზიდენტ ფრანსუა მიტერანთან, საფრანგეთის სხვა თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეებთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან ბუტროს ბუტროს გალისთან, მის პირად წარმომადგენელთან ედუარდ ბრუნერთან. როგორც ედუარდ შევარდნაძემ თქვა, საუბრების დროს ძირითადი ყურადღება დაეთმო როგორც ორმხრივ ურთიერთობებს, ისე აფხაზეთის კონფლიქტის უსწრაფესი მოწესრიგების პრობლემებს, უკანასკნელ ხანს რუსეთში მიმდინარე პროცესების განხილვას.

სახელმწიფოს მეთაურმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მხარეებს ერთნაირი შეხედულებანი აქვთ ამ პრობლემებზე, ხაზი გაუსვა, რომ საფრანგეთი, დასავლეთის ლიდერები გაგებით მოეკიდნენ საქართველოს გადაწყვეტილებას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლის შესახებ, რომელსაც ისინი გარკვეულ იმედებს უკავშირებენ. ეკონომიკური ურთიერთობის თვალსაზრისით გაიმართა საინტერესო, ნაყოფიერი შეხვედრები და საუბრები საფრანგეთის ფინანსური და საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან. განიხილეს რა თანამშრომლობისა და ეკონომიკური დახმარების ფორმები როგორც სახელმწიფო დონეზე, ისე ევროგაერთიანების ხაზითაც, სადაც საფრანგეთი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. თვალსაჩინო ფრანგმა ბიზნესმენებმა განაცხადეს, რომ დაინტერესებული არიან საქმიანი თანამშრომლობით საქართველოსთან და იმედი აქვთ, რომ აქ იქნება სტაბილური პოლიტიკური ვითარება. საინტერესო და მრავლის აღმთქმელი პერსპექტივები დაისახა ფინანსური და ეკონომიკური ურთიერთდახმარებისა და განვითარების ორგანიზაციის შტაბბინაში სტუმრობის დროს. ყოველმხრივ უნდა იქნეს შესწავლილი საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი სახელმწიფოსათვის, შესაძლო დახმარების ტექნოლოგია, წარედგინოს კონკრეტული წინადადებანი და პროგრამები.

— ვიზიტმა წარმატებით ჩაიარა, ხაზი გაუსვა ედუარდ შევარდნაძემ, ახლა ჩვენთვის მთავარია პრაქტიკულად შევასხათ ხორცი მიღებულ დოკუმენტებსა და შეთანხმებულ მორიგებებში ჩადებულ პოტენციალს.

• • •

დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებული ეს რეპორტაჟი გაგრძელებაა ჩვენი გაზეთის შაბათის ნომერში დასტამბული პარიზული რეპორტაჟისა.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივანი, საქინფორმი.

ფრანსუა მიტერანი: „საფრანგეთმა და საქართველომ ერთად უნდა ააშენონ ახალი ევროპა“

ედუარდ შევარდნაძისა და საფრანგეთის პრეზიდენტის **ფრანსუა მიტერანის** სათვალავით მეთოთხმეტე პირადი შეხვედრა გაიმართა ელისეს სასახლის ისტორიულ „ბუხრის კაბინეტში“.

მოგიზგიზე ბუხარი ადამიანებს მეგობრული საუბრისათვის განაწყობს, ქმნის არაფორმალური ნდობით აღსავსე დამოკიდებულების განსაკუთრებულ ატმოსფეროს. სწორედ ასეთი იყო კიდეც ატმოსფერო ახლანდელი შეხვედრისა, როდესაც კაბინეტის მასპინძელი სტუმარს ამჯერად მასპინძლობდა როგორც საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს.

პრეზიდენტის კითხვები ორი ქვეყნის გამყოფი სივრცისა და დროის მანძილის შესახებ სულაც არა ყოფილა თავაზიანი ცნობისმოყვარეობისათვის ხარკის მოხდა. თანამოსაუბრეებმა ხაზი გაუსვეს, თუ რაოდენი სულიერი სიახლოვე აქვთ ხალხებს, როგორ ისტორიულად ესწრაფვიან დაძლიონ დაბრკოლებანი ერთმანეთისაკენ მიმავალ გზაზე. საქართველოსათვის, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, ევროპაში დასაბრუნებელი გზა მუდამ საფრანგეთზე გადის. ახლანდელმა ჩვენმა ვიზიტმა ფაქტობრივად ხორცი შეასხა საქართველოს ამ ტრადიციულ მისწრაფებებს.

ფრანსუა მიტერანმა შენიშნა, რომ ამ მოვლენას განიხილავს ახალი ევროპის მშენებლობის ფართო კონტექსტით. ამასთან დაკავშირებით მან საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს სთხოვა გამოეთქვა აზრი ამ პროცესის განვითარების დამაბრკოლებელი ახალი პრობლემების შესახებ: „თქვენ განჭვრეტით მრავალი სიძნელე, რომლებიც ახლა ჩვენს წინაშე დადგა, ზეპირად და წერილობით გვაფრთხილებდით ამის შესახებ“.

ჩამოაყალიბა რა ევროპაში ბიპოლარული სამყაროს ნგრევისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილი სიტუაციის თავისებური ხედვა, ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ევროპის მომავალი ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ წავა საქმე პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის, ყოფილი სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკაში. ალბათ, სწორი არ იქნებოდა, განგვეხილა ისინი რუსეთში მიმდინარე პროცესებისაგან მოწყვეტით, ყურადღება მიგვექცია მხოლოდ იმაზე, თუ როგორ ყალიბდება ახალი სახელმწიფოებრიობა ამ საკვანძო ქვეყანაში. ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა — და არა მარტო მათი მომავალი მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ ახალ როლთან, რომელსაც რუსეთი მიიკუთვნებს პოსტკომუნისტურ სამყაროში.

თანამოსაუბრეებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ რუსეთის ახალი როლის კონსტრუქციულობის დონეს განსაზღვრავს მის მიერ განვითარების გზების — მიზნებითა და არსით დემოკრატიული გზების არჩევანი. მაგრამ უკანასკნელ ხანს გაჩნდა მთელი რიგი სიმპტომები, რაც ბადებს გარკვეულ შეშფოთებას საქმის ახლანდელი ვითარების გამო, თვით რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოს მომავლისათვის შედეგების თვალსაზრისით.

— თქვენ მხედველობაში გაქვთ თქვენი ქვეყანაც? — ჰკითხა პრეზიდენტმა. — როგორ ახსნიდით ამ ფათერაკების მიზეზებს?

— იმპერია ინგრევა, ნამსხვრევები კი თავზე გვეყრება, — უპასუხა ედუარდ შევარდნაძემ.

დაწვრილებით გააანალიზა რა საქართველოში დესტრუქციული პროცესების გარეშე და შინაური ფაქტორები, იგი შეეხო ძირითად პრობლემებს, რომელთა გადაჭრა ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს სწრაფად იაროს წინ. ეს არის პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ეკონომიკის აღორძინება. არის საკმაოდ ბევრი ნიშანი, რომლებიც მოწმობენ სტაბილიზაციას. მაგრამ ეს პრობლემა კვლავაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ორ დანარჩენთან. საქართველო დიდ იმედებს ამყარებს სამშვიდობო ძალისხმევაზე, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით და რუსეთის შუამავლობით ხორციელდება. ედუარდ შევარდნაძემ მადლობა მოახსენა ფრანსუა მიტერანს იმისათვის, რომ მისი ქვეყანა აქტიურად უჭერს მხარს ამ პროცესს. ამასთან დაკავშირებით, შეეხო საქართველოს მეგობართა კომიტეტის საქმიანობას, რომელიც საფრანგეთის ინიციატივით შეიქმნა. მან აგრეთვე გამოთქვა სურვილი, რათა ამ ქვეყანამ რუსეთთან და სხვა სახელმწიფოებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს აფხაზეთის ვითარების მოწესრიგების მექანიზმში, საერთაშორისო სამშვიდობო ძალებისა და სამხედრო მეთვალყურეთა შემადგენლობაში.

— ამ პროცესში ჩვენთვის მთავარია აფხაზეთიდან გაძევებული ქართველი მოსახლეობის მშვიდობიანი დაბრუნება, — ხაზი გაუსვა ედუარდ შევარდნაძემ. — ამისათვის საჭიროა მტკიცე საერთაშორისო გარანტიები.

უპასუხა რა ფრანსუა მიტერანის კითხვას საქართველოს მთლიანობის შენარჩუნების გზებისა და საშუალებების შესახებ, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთისა და დასავლეთის წამყვანი ქვეყნების, მათ შორის საფრანგეთის კეთილ ნებას. ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა ხორცი შევასხათ ამას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში, რომელშიც ახლახან შევიდა საქართველო, მაგრამ ამავე დროს იმედს ამყარებს დასავლეთის გაგებასა და მხარდაჭერაზე. ამ ორი მიმართულებით საქართველო ეძებს გამოსავალს უმძიმესი ეკონომიკური კრიზისიდანაც.

აზრთა გაზიარება გაგრძელდა სადილზეც, რომელიც საფრანგეთის პრეზიდენტმა გაუმართა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს. საუბარში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო საქართველოსა და საფრანგეთის ისტორიულ ურთიერთობას.

შემდეგ გაიმართა „ახალი ევროპისათვის პარიზის ქარტიის“ ხელმოწერის ცერემონია. ხელი მოაწერა რა ქარტიას, ედუარდ შევარდნაძემ გაიხსენა, რომ პირველად მას ხელი მოაწერა 1990 წლის ნოემბერში.

ბედნიერი ვარ, რომ ახლა ამ ისტორიულ დოკუმენტს ხელს ვაწერ როგორც საქართველოს სახელმწიფოს მეთაური; ჩემს მშობლიურ ენაზე, ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის ახლანდელ მდგომარეობაში. თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, ამ დიადი ქარტიის ერთ-ერთი მთავარი ავტორი ბრძანდებით. კარგად მოგეხსენებათ, თუ რას ნიშნავს ჩვენი ქვეყნისათვის ევროპის ერთიანობის ამ აქტთან შეერთება.

საფრანგეთში დიდი იმედებით მოვფრინავდით და გაგვიმართლდა კიდეც მათ.

ორი სახელმწიფოს მეთაურებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საქართველოს რესპუბლიკისა და საფრანგეთის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების შესახებ.

— ქარტია ახალი ევროპისათვის, — თქვა თავის სიტყვაში საფრანგეთის პრეზიდენტმა, — ახალი როდია ედუარდ შევარდნაძისათვის. იგი ქმნიდა და ერთ-ერთმა პირველმა თავის დროზე ხელი მოაწერა მას. მაგრამ ახლა, ისევე, როგორც საფრანგეთ-საქართველოს ხელშეკრულების ხელმოწერა, ეს ცერემონია ნიშნავს იმას, რომ საქართველო უერთდება ახალი ევროპის მშენებლობას და მტკიცდება ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა მთელი ევროპის ერთიანობის ინტერესებისათვის.

ეს ჩემი პირველი შეხვედრა როდია თქვენთან. ბატონო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტო, და არც პირველი შეხვედრაა საფრანგეთისა საქართველოსთან. მაგრამ პირველი შეხვედრაა იმ ახალ ევროპაში, რომელსაც ვაშენებთ.

საფრანგეთის პრეზიდენტმა დამსწრეთა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ქარტიისა და ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონია გაიმართა „მიურატის დარბაზში“, სწორედ იმ ფრანგის დარბაზში, რომელსაც დაებადა კარგი იდეა დამოყვრებოდა ქართველებს“.

— საქართველოში არის ადგილები, სადაც იცავენ მიურატთან დაკავშირებულ ხსოვნასა და რელიკვიებს — უთხრა პასუხად ედუარდ შევარდნაძემ, — გეპატიჟებით ბატონო პრეზიდენტო ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ესოდენ მდიდარია საქართველო-საფრანგეთის მეგობრობის ტრადიციებითა და ძეგლებით.

ედუარდ შევარდნაძე: ჩვენი წინაპრების გზა—დამოუკიდებლობის გარანტიებს რომ ეძებდნენ, საფრანგეთისაკენ და საფრანგეთზე გადიოდა...

24 იანვრის რადიოინტერვიუ

გასულ კვირას საფრანგეთში საქართველოს დელეგაციის ოფიციალური ვიზიტის უმთავრესი შედეგების შეფასებით დაიწყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ტრადიციული რადიოინტერვიუ:

— ზოგიერთი შეფასება ჯერ კიდევ თვითმფრინავში გამოვთქვი, პარიზში გამართულ პრესკონფერენციაზე და ახლაც ვადასტურებ, რომ ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ეს გახლდათ პირველი ოფიციალური, სამთავრობო, სახელმწიფოებრივი ვიზიტი და მისი უმთავრესი შედეგია ორი დოკუმენტის ხელმოწერა, ესე იგი საფუძვლების ჩაყრა საქართველოსა და საფრანგეთს შორის სამართლებრივი ურთიერთობის ბაზის შესაქმნელად. ამ ბაზის გარეშე ლაპარაკი ზედმეტია ფართო მასშტაბის ეკონომიკურ, კულტურულ, სამეცნიერო თანამშრომლობაზე, რითაც ესოდენ დაინტერესებულია ჩვენი საზოგადოებრიობა.

ისტორიიდან კარგად არის ცნობილი, რომ ჩვენი წინაპრების გზა, დამოუკიდებლობის გარანტიებს რომ ეძებდნენ, საფრანგეთისაკენ და საფრანგეთზე გადიოდა. არ ვიტყვი, რომ ახლაც ისეთივე დროა, მაგრამ ალბათ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტია ყველა ქვეყნისათვის ჩვენს კონტინენტზე იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ შეძლებს იგი სწორი ურთიერთობის დამყარებას ისეთ დიდ სახელმწიფოსთან, როგორიც არის საფრანგეთი. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საფრანგეთი უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია და ისეთი რთული საკითხების მოგვარება და, გადაწყვეტა, როგორიც არის აფხაზეთის კონფლიქტი და, საერთოდ, კონფლიქტები ჩვენს რეგიონში და ჩვენს პლანეტაზე, დიდად არის დამოკიდებული საფრანგეთის პოზიციაზე. ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დავრწმუნებულიყავით იმაში, თუ როგორ ესმით ჩვენი საფრანგეთში და უნდა გვქონდეს თუ არა ამასთან დაკავშირებით საფრანგეთის მხარდაჭერის იმედი.

ორი აზრი არ არსებობს: ფრანგებს ისევე ესმით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფოს ერთიანობის პრობლემები, როგორც ჩვენ გვესმის. მათ გულთან ახლოს მიაქვთ ეს პრობლემები.

რას გულისხმობს საქართველოსა და საფრანგეთის ინტერესების ერთიანობა? უპირველეს ყოვლისა, ეს არის ერთნაირი დაინტერესება ახალი ევროპის მშენებლობით, ერთიან სივრცეებამდე მისვლის აუცილებლობა — ეკონომიკურ, უსაფრთხოების, ჰუმანიტარულ სივრცეებამდე და სხვა მრავალი. ასეთი სივრცეების ფორმირება ერთ-ორ დღეში ან ერთ წელიწადში არ ხდება. ამას შეიძლება წლები, ათეული წლებიც კი დასჭირდეს, აუცილებელია დიდი ქვეყნების და შედარებით მცირე ქვეყნების წვლილიც, მთელი კონტინენტის წვლილი. ამ მიმართებით ჩვენ ურთიერთგაგება გვაკავშირებს და საერთო ინტერესებიც საკმაოდ კარგად არის გამოკვეთილი. ჩვენი საუბრები სწორედ ამ სულისკვეთებით მიმდინარეობდა, არა მარტო ორმხრივი ურთიერთობის გარშემო, არამედ საერთოევროპული და, თუ გნებავთ, საერთო-საკაცობრიო ინტერესების თვალსაზრისით.

ხელშეკრულება, რომელსაც პარიზში მოვაწერეთ ხელი, განსხვავდება ზოგიერთი სხვა ხელშეკრულებისაგან. მასში არის ანარეკლი პარიზის ქარტიისა, რომელსაც ჩვენ ახლა შევუერთდით. მე უკვე მეორედ მოვაწერე ხელი ამ დოკუმენტს — ახლა სხვა ხარისხში — ქართულად. ამასაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა.

გარდა ამისა, არის პირდაპირი, უშუალო ინტერესები — საფრანგეთთან ეკონომიკური ურთიერთობა. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ჩვენ ახლა ევროგაერთიანების კრედიტებით ვარსებობთ. ერთხელ 70 მილიონი ეკიუ მივიღეთ, ახლა 40 მილიონი გამოყვეს. კიდევ 10-15 მილიონის გამოყოფის იმედი გვაქვს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროგაერთიანება ციდან არ იღებს ამ კრედიტებს. ეს არის ევროპული, სახელმწიფოებრივი სახსრები. აქ 60-70 პროცენტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წვლილია. მინდა მადლიერების გრძნობით გავიხსენო კანცლერ კოლის სპეციალური მიმართვა ევროგაერთიანების ხელმძღვანელობისადმი საქართველოსათვის საარსებო მნიშვნელობის კრედიტის გამოყოფის თაობაზე. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროგაერთიანების კრედიტებში 20 პროცენტზე მეტი საფრანგეთის წილია. როცა ბატონ მიტერანს განვუცხადე, ეკონომიკურად გვიჭირს-მეთქი, მან შემახსენა, რომ საერთო წილიდან, რომელიც ევროგაერთიანებაში აქვს საფრანგეთს, მათ გამოყვეს სახსრები, მხარი დაუჭირეს საქართველოს თხოვნას. არის საფრანგეთის ბიზნესთან პირდაპირი დაკავშირების ინტერესი. საინტერესოდ მიმაჩნია ის წინადადებანი, რომელიც ჩამოაყალიბეს აქ, ჩვენთან, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის კომიტეტში, ფინანსთა სამინისტროსა და ჩვენს უწყებებში და რომლებიც ინტერესით მიიღეს საფრანგეთის ბიზნესმენებმა. მაგრამ არის ერთი ასეთი პრობლემა: თუ ბიზნესმენებს ზურგს არ უმაგრებს ისეთი საბანკო გაერთიანება, როგორიც არის, კერძოდ, გერმანიაში „ჰერმესი", საფრანგეთში — „კოფასი" და ა. შ., ბიზნესმენები ფრთხილობენ. („კოფასი" უდიდესი სადაზღვევო კომპანიაა). საფრანგეთის ეკონომიკის სამინისტროსთან, სხვა უწყებებთან კონტაქტებმა იმის გარანტია მოგვცა, რომ ამ სადაზღვევო საბანკო სისტემის დიდი დელეგაცია ჩამოვა საქართველოში და ამის შემდეგ, თუ მათთან საერთო ენას გამოვნახავთ, გაიხსნება საფრანგეთის ბიზნესთან დიდი თანამშრომლობის გზა. „კოფასის" გარანტიები სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერას ნიშნავს. თუ „კოფასს" სირთულეები აქვს, მას სახელმწიფო ხაზინა ანაზღაურებს. ამიტომაც ამ გარანტიებს არსებითი მნიშვნელობა აქვს.

იყო ზოგიერთი სხვა ინტერესიც. ვფიქრობ, ეს ვიზიტი ძალიან დროული, საჭირო იყო, იქნებ, ცოტა დაგვიანებულიც. თუმცა არც ფრანგებისა და არც ჩვენი მიზეზით. უბრალოდ, ობიექტური მიზეზების გამო.

სამანეთო ზონასთან დაკავშირებით კომენტატორმა ნატო ონიანმა სახელმწიფოს მეთაურს ჰკითხა: თქვენ აღნიშნეთ, რომ თქვენი პოზიცია გაირკვევა ვიზიტების შემდეგ. ორი ვიზიტი — თურქეთსა და საფრანგეთში უკვე გაიმართა. საფრანგეთში თქვენ შეხვდით ფინანსურ წრეებს, ეკონომიკის მინისტრს, თანამშრომლობისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს. ხომ არ გამოიკვეთა თქვენი პოზიცია?

— როცა ვთქვი, ჩემი პოზიცია ვიზიტების შემდეგ გაირკვევა-მეთქი, მარტო საფრანგეთის ვიზიტი არ მქონია მხედველობაში. რა თქმა უნდა, უპირველესად ვგულისხმობდი ბატონ ბორის ელცინის ჩამოსვლას საქართველოში, მასთან და მის კოლეგებთან შეხვედრას. აქ ბევრი რამ იქნება გასარკვევი. მაგრამ ესეც არ არის საკმარისი. იგეგმება, და, ალბათ, უახლოეს დეკადებში განხორციელდება, ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ვაშინგტონში იქნება კონტაქტები ადმინისტრაციასთან, რასაც, თავისთავად, ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. მაგრამ ასევე ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება ჩემს შეხვედრებს სავალუტო ფონდთან და რეკონსტრუქციის ბანკთან. თუ ჩვენ მივიღებთ რაიმე გარანტიას სტაბილიზაციის ფონდის შექმნასთან დაკავშირებით, მაშინ შეგვიძლია მეტი მონდომებით ვიბრძოლოთ ჩვენი ეროვნული ვალუტის განმტკიცებისათვის. თუ ასეთ გარანტიებს ვერ მივიღებთ — სხვა გზა უნდა ვეძებოთ. ამიტომ ვარიანტები თანდათანობით ამ ვიზიტების მსვლელობაში ზუსტდება. ასეთი ვარიანტები მე მაქვს. მაგრამ, ჯერჯერობით, ამაზე ლაპარაკი ნაადრევად მიმაჩნია.

ორიოდე სიტყვით მინდა აღვნიშნო განვითარებადი ქვეყნის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებული ჩვენი კონტაქტების მნიშვნელობა. ეს იყო ჩვენი პირველი შეხება ამ ინსტიტუტთან, შტაბ-ბინასთან, რომელიც საფრანგეთში მდებარეობს. მთავარი შედეგი ის არის, რომ ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები ჩამოვლენ საქართველოში. უკვე შევთანხმდით, დაახლოებით დროც გარკვეულია, და ეს საინტერესო პერსპექტივაა იმ თვალსაზრისით, რომ ამ ორგანიზაციაში ძალიან კარგად არის დამუშავებული სხვადასხვა გზები — ახალ ეკონომიკაზე გადასვლის მეთოდოლოგიური მიდგომები. კადრების მომზადება, აპარატის შექმნა. იქ მიაჩნიათ, რომ კვალიფიციური აპარატის შექმნა გარდამავალ ეტაპზე სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანაა. თუ ასეთი აპარატი არ შეიქმნება, — იქნება ეს სამინისტროები, სამთავრობო, სახელმწიფოს მეთაურის, თუ საპრეზიდენტო აპარატები, უამისოდ ახალ ეკონომიკაზე გადასვლასა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო ჩემი შეხვედრა იუნესკოს გენარალურ მდივანთან ბატონ ფედერიკო მაიორთან. აქაც ორი საინტერესო კონკრეტული მიმართულება გამოიკვეთა: პირველი — ეს არის იუნესკოს დაინტერესება ჩვენი ინიციატივით, წინადადებებითა და გამოცდილებით ენერგიის არატრადიციული წყაროების გამოყენების სფეროში, და არა მარტო ენერგიის არატრადიციული წყაროების, არამედ ენერგიის წყაროების არატრადიციული გამოყენებით. ჩვენ შევთანხმდით, რომ ამ მხრივ საქართველო შეიძლება იქცეს ერთ-ერთ ასეთ ცენტრად ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებისათვის.

ამასთანავე ჩვენი ყურადღების ცენტრში იყო საქართველოს კულტურის ძეგლების დღევანდელი მდგომარეობა, და ბატონმა მაიორმა განაცხადა, რომ თუმცა იუნესკო მდიდარი ორგანიზაცია არ გახლავთ, იგი მზად არის მონაწილეობა მიიღოს ამ ძეგლების აღდგენასა და გადარჩენაში.

ორი დღის განმავლობაში იმაზე მეტი გაკეთდა, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა.

რაც შეეხება შეხვედრებს გაეროს გენერალურ მდივანთან ბუტროს გალისთან და გენერალური მდივნის პირად წარმომადგენელთან აფხაზეთის კონფლიქტის საკითხებში ედუარდ ბრუნერთან, სახელმწიფოს მეთაურმა თქვა:

— ეს ძალზე მნიშვნელოვანი შეხვედრები იყო. შედეგად დღეს საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი ალექსანდრე ჩიკვაიძე, ბატონი სანდრო კავსაძე და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ერქვანია გაემგზავრებიან მოსკოვს. სწორედ რუსეთთან უნდა გავარკვიოთ აფხაზეთთან დაკავშირებით ჩვენი მიდგომები. რუსეთს აქვს თავისი ვარიანტი, პროექტი გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებისა. თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რა საუბარიც მქონდა ბატონ გენერალურ მდივანთან, ამ პროექტზე ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო და ყოველ მიზეზგარეშე უნდა წარმოვადგინოთ ჩვენი ვარიანტი, რომელიც თითქმის უკვე მომზადებულია.

ჩემი მიზანი იყო გამერკვია, როგორ ესმის გაეროს გენერალურ მდივანს შემდგომი სამშვიდობო პროცესი, მისი ეტაპები, უმთავრესი ელემენტი ამისა — უშიშროების საბჭოს ახალი რეზოლუციის მიღება, რამდენად კონკრეტული იქნება იგი და რამდენად იქნება ასახული საქართველოს და, კერძოდ, აფხაზეთის ინტერესები. ბევრი ჩემი კოლეგა გაუბრალოებულად უყურებს ამ რეზოლუციების მიღებას. ეს ურთულესი პროცესია. გენერალურმა მდივანმა მითხრა. ნუ შევხედავთ ისე, რომ საქართველოს უკვე გარანტირებული აქვს იმგვარი რეზოლუციის მიღება, რომელიც ძალიან მოკლე დროში მშვიდობას მოიტანს. ეს ძალიან რთული იქნება. ჩამოითვალა 3-4 ვარიანტი იმისა, რომელიც შესაძლებელია ჩვენ მივიღოთ. ოღონდ ამისათვის საჭირო იქნება ძალიან დიდი და სერიოზული მუშაობა და არა მარტო გენერალურ მდივანთან. მან მომცა გარანტია, რომ იბრძოლებს სრულყოფილი რეზოლუციისათვის, რომელმაც უნდა განსაზღვროს მშვიდობის დამყარების ბედი აფხაზეთში, მაგრამ, ამასთან ერთად, ძალიან დიდი მუშაობა იქნება საჭირო უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებთან. დაახლოებითი გეგმაც მოიხაზა, თუ როგორ უნდა ავაგოთ ეს ურთულესი საქმიანობა.

ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ სხვა საკითხზე მსჯელობა გენერალურ მდივანთან, გარდა მშვიდობიანი გზისა, აბსურდულია, მშვიდობიანი გზის უარყოფა, მე მგონი, დღეს საკუთარი თავის უარყოფას ნიშნავს, ამაზე ლაპარაკიც კი უნდა გამოირიცხოს, თუ ჩვენ შევძლებთ ამ ვარიანტებიდან თუნდაც ერთ-ერთის გატანას. ეს უკვე ნიშნავს, რომ მოწესრიგების რეალური გზა არსებობს.

ერთი რამ კი უნდა ვთქვა: ვინც ყველაზე მეტს ლაპარაკობს სამხედრო გადაწყვეტაზე, ყველაზე ნაკლებად ფიქრობს ამაზე, ვინც ფიქრობს, რომ ასეთი გადაწყვეტა შეიძლება, ის ყველაზე ნაკლებს ლაპარაკობს, ამ ვარიანტზე. როცა ზოგიერთის გამოსვლას ვუსმენ, მათში (აქ მხედველობაში არა მყავს გამწარებული, გამოდევნილი ადამიანები), პარტიული და ეგოისტური პოზიციები უფრო ჭარბობს და არა რეალისტური მიდგომა აფხაზეთის საკითხის მოგვარებისადმი.

— რამდენად იზიარებს და ხედავს ევროპა იმ საფრთხეს, რომელიც დღეს არსებობს რუსეთში, კერძოდ, საკადრო ცვლილებებს, პროფაშისტური ძალების გააქტიურებას, იმავე საფრანგეთის პრეზიდენტთან დაკავშირებით. ჟირინოვსკიმ თქვენი ვიზიტის წინ საშინელი სიტყვებით მოიხსენია ფრანსუა მიტერანი, და რამდენად არის იქ გაცნობიერებული რუსეთში პროფაშისტური საფრთხე?

— როცა ცალკეული პოლიტიკოსები ლაპარაკობენ, რომ საქართველომ უნდა ააწყოს, ააშენოს ნორმალური, კარგი ურთიერთობა რუსეთთან, ვფიქრობ, ამის მიღმა დგას საქართველოში სტაბილურობის მიღწევის დიდი სურვილი. დასავლეთის პოლიტიკური და საქმიანი წრეების აზრით, თუკი ის ქვეყნები, რომლებიც წინათ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდნენ, სწორ ურთიერთობას დაამყარებენ რუსეთთან, ეს სტაბილურობის ერთგვარი გარანტია იქნება. და ამასთან დაკავშირებით, მე უკვე ვხედავ და ვილაპარაკე კიდეც რუსეთის ახალ როლზე. სტაბილურობის გარეშე ბიზნესი ვერ მოქმედებს და, ბუნებრივია, საფინანსო წრეები სტაბილურობით არიან დაინტერესებული.

რაც შეეხება პროფაშისტური ძალების გამოსვლას ასპარეზზე, ჩემი შთაბეჭდილებით, საფრანგეთი ჩვენზე ნაკლებად როდია შეშფოთებული ამ მოვლენით, ისევე როგორც ევროპისა და მსოფლიოს მრავალი ქვეყანა. ამიტომ კვლავ და კვლავ, საფრანგეთში ჩემი კონტაქტებისა და დიალოგის პროცესში ერთხელ კიდევ გამოვხატავდით რუსეთში დემოკრატიული განვითარების გზის მხარდაჭერის სურვილს.

— პარიზის ქართულ ემიგრაციასთან შეხვედრის დროს ერთ-ერთმა ემიგრანტმა სულხან-საბა გაიხსენა და თქვა: სიტუაცია იცვლება და დღეს თქვენ, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის პრეზიდენტი, მიტერანმა მიგიღოთ. თქვენ ამტკიცებთ, რომ ქვეყანა გადარჩება, ეს იქაც თქვით, რა გაძლევთ ამ ოპტიმიზმის საფუძველს?

— თუ მოხერხდა ამ შეხვედრის ჩაწერა, კარგი იქნება, თუ საქართველოს ტელევიზია უჩვენებს მას. იქ ორი-სამი უნიკალური მომენტი იყო, რომლებიც, ვფიქრობ, საინტერესო უნდა იყოს ტელემაყურებლისა და რადიომსმენელისათვის.

რაც შეეხება ქვეყნის გადარჩენას — სხვა გზა არ არსებობს, ცოცხალმა ადამიანმა და ცოცხალმა ორგანიზმმა უნდა იარსებოს არსებობისათვის, მით უმეტეს, ერმა და ქვეყანამ. როცა ამაზე ვლაპარაკობ, ცოტა უფრო ღრმა ანალიზიდან გამოვდივარ. ეს არ ეხება მხოლოდ დღევანდელ საქართველოს. ეს ეხება საქართველოს მთელ წარსულს, ჩვენს დამწერლობამდე, ჩვენი დამწერლობის აქეთ, სხვადასხვა ეტაპებს, პერიოდებს, მათ შორის, ბოლო საუკუნეებს. ახლა მე-20 საუკუნისა და 21-ე საუკუნის მიჯნაზე ვდგავართ. სულ სხვა სამყარო, სხვა მსოფლიო, სხვა პირობებია და სხვა კანონები შედის ძალაში. ახლა, ასე თუ ისე, თუ ვარსებობთ, ვარსებობთ იმიტომ, რომ ახალი კანონები მოქმედებს. რაც უფრო მძლავრად ამოქმედდებიან ისინი, გადარჩენისა და კრიზისიდან გამოსვლის მით უფრო მეტი შანსი იქნება.

ყველა მოქალაქემ უნდა გაიგოს: მთავარია შინაგანი ძალების მობილიზება და მოწესრიგება, შინაგანი ერთიანობა. ეს ყოველთვის იყო საქართველოსათვის უმთავრესი პრობლემა და ახლაც ასევე რჩება. ერთიანობისათვის ბრძოლის ხელოვნება ჩვენ ისე რომ ავითვისოთ, როგორც ერთმანეთის შეჭმისა (როგორც იტყვიან, ერთმანეთის ღრღნის პროფესიას დავეუფლეთ), გარეშე ნეგატიური ფაქტორებიც კი ვერაფერს დაგვაკლებენ. განა აფხაზეთში ომის დროს ჩვენი ხელით არ გადავჭერით წარმატებისაკენ მიმავალი ყველა ძარღვი: დავანგრიეთ ხიდები, წელში გაწყდა ქვეყანა, და პრაქტიკულად გავწირეთ აფხაზეთში მებრძოლი ხალხი და ის ქართველობა.

ახლა ეს ძალები, როგორც იტყვიან, ჩირგვებში არიან, ანდა ახალ ოპოზიციურ პლატფორმებს აკოწიწებენ, და ისევ იმისათვის, რომ ერთმანეთი კვლავ დავჭამოთ, განხეთქილება შევიტანოთ. ეს უნდა დავძლიოთ, ნორმალურ ურთიერთობას შევიგუოთ, ოპოზიციაც და პოზიციაც ნორმალურს დაემსგავსოს. თუ ერთმანეთის გატანა და მხარდაჭერა ვისწავლეთ, და გადარჩენისათვის ბრძოლა სწორედ ამ ერთიანობის საფუძველი უნდა გახდეს, ვფიქრობ, მსოფლიოში მოქმედი ზემოთხსენებული კანონების ფონზე, საქართველოს გადარჩენის რეალური შანსი და რეალური გზა არსებობს.

ჩემის აზრით, თანამეგობრობათა თანამეგობრობის იდეის რეალურობის შესამოწმებლადაც ჰქონდა მნიშვნელობა საფრანგეთში ვიზიტს. ზოგს ასე წარმოუდგენია: ან ევროგაერთიანება, ან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, ან შავი ზღვის ქვეყნების ალიანსი. ასე არ უნდა იყოს, მე ასე არ მესმის. როცა თანამეგობრობაში შესვლის გადაწყვეტილება მივიღე, მივიღე არა იმის გამო, რომ შესაძლებელია იგი მალე დაიშალოს. შეიძლება თანამეგობრობა არ დაიშალოს, განმტკიცდეს, გაძლიერდეს, ეს მის წევრ ქვეყნებზე იქნება დამოკიდებული. ასევე უნდა გაძლიერდეს შავი ზღვის ქვეყნების ალიანსი. მაგრამ ამ გაძლიერებამ დაპირისპირებისაკენ კი არ უნდა წაგვიყვანოს, განსაკუთრებით ევროგაერთიანებასთან, არამედ, პირიქით, მიგვიყვანოს საერთო სივრცის ჩამოყალიბებამდე, ეკონომიკური, უსაფრთხოების, ჰუმანიტარული თუ სამართლებრივი სივრცეების ჩამოყალიბებამდე..

თანამეგობრობათა თანამეგობრობამ უნდა მიგვიყვანოს უსაფრთხოების ახალ სივრცეებამდე. პარიზში ჩემმა დიალოგებმა დამარწმუნა, რომ ასეთი ახალი პერსპექტივა ისახება ევროპული სახლის მშენებლობაში.

ქართველი მოსკოვშიც ქართველია

გაზეთ „ვეჩერნაია მოსკვას" ერთ-ერთ ამასწინანდელ ნომერში პირველ გვერდზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია გაზეთის 70 წლის იუბილის შესახებ. ინფორმაციის თანახმად, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზს არასოდეს მიუღია ერთდროულად ამდენი ესტრადის ვარსკვლავი. გაზეთის 70 წლისთავის მოსალოცად მოვიდა მეცნიერების, ხელოვნების, სპორტის სხვადასხვა თაობის მრავალი წარმომადგენილი.

იმ საღამოს ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო მოსკოვში მცხოვრები ცნობილი ქველმოქმედი, „ლევ იაშინის სახელობის სპორტსმენთა სოციალური დაცვის ფონდის" პრეზიდენტი, ჩვენი თანამემამულე ბატონი ოთარ კვანტრიშვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლის დეკემბერში ბატონმა ოთარმა სხვა ცნობილ სპორტსმენებთან ერთად ჩამოაყალიბა რუსეთის სპორტსმენების კავშირის პარტია.

ბევრ ქართველს, მათ შორის სპორტსმენს, გაუწია დახმარება ბატონმა ოთარმა როგორც საქართველოში, ასევე რუსეთში. ეს დახმარება იყო არა მარტო ეკონომიკური, არამედ მორალურიც. ბევრს, ალბათ, ახსოვს 1992 წლის სექტემბერში საქართველოში სპორტის პროპაგანდისა და საქართველოს დემოკრატიული ძალების მხარდასაჭერად ბატონმა ოთარმა მოაწყო საქველმოქმედო აქცია ზესტაფონსა და თბილისში, სპორტის სასახლეში. ამასთან დაკავშირებით, მოსკოვიდან მიწვეული იყვნენ ხელოვნების ვარსკვლავები, მაშინ ბატონმა ოთარმა საჩუქრები და ფულადი პრემიები გადასცა ოლიმპიური თამაშების ქართველ პრიზიორებს. აგრეთვე, სპორტული ინვენტარით და ტანსაცმლით დაასაჩუქრა მრავალი ქართველი სპორტსმენი.

ჩვენებურები

ოთარ კვანტრიშვილს შარშან, დეკემბრის ბოლოს, შევხვდი მოსკოვში. აი, რა მითხრა მან საუბრის დროს:

— ადამიანთა განვითარებასა და სრულყოფაში სპორტს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. ჩემი აზრით, ერის სიჯანსაღე ადამიანის სიჯანსაღით განისაზღვრება. ფიზიკურად მომზადებულ ახალგაზრდას უნარი აქვს, დაიცვას არა მარტო თავისი თავი, არამედ ყველა ის პიროვნება, ვინც დაცვას და მფარველობას საჭიროებს.

მე სპორტში ვაჟკაცობას, სიჯანსაღეს, ადამიანთა შორის ურთიერთპატივისცემას ვხედავ, რაც პიროვნებაში ბევრ სხვა დადებით გრძნობებთან ერთად გულმოწყალების გრძნობას აღვივებს, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, რაინდებად და შრომისმოყვარეებად გვაყალიბებს.

რაც შეეხება საქართველოს, უნდა გითხრათ, რომ რაინდობა, ვაჟკაცობა და შრომისმოყვარეობა ქართულ ხასიათში ყოველთვის ითვლებოდა ცხოვრების უმთავრეს სიმბოლოდ, რაც ქართული სპორტის ტრადიციებში აისახებოდა. სახელოვანი ქართველი სპორტსმენების (ლევან თედიაშვილი, მიხეილ მესხი, ოთარ ქორქია და სხვა) მიღწევები საფუძვლად დაედო მრავალი ქართველი ახალგაზრდის რაინდულად აღზრდის საქმეს. სამწუხაროდ, საქართველოში სატანის მომძლავრებამ და მისგან გამოწვეულმა უაზრო სისხლიანმა დაპირისპირებამ, ქართველი ახალგაზრდობის არც თუ მცირე ნაწილს გული გაუტეხა, ნარკომანიის ბურუსში გაახვია და იგი ბრიყვულად მხოლოდ ცეცხლსასროლ იარაღში ხედავს თავის ძალას, რაც ქართულ საზოგადოებაში შიშსა და შემოქმედების უნარის დაცემას იწვევს, აძლიერებს სისასტიკეს, მკვლელობას, ქურდობას და ა. შ.

სწორედ ამან გამოიწვია შერყევა ქართველების ავტორიტეტის, რითაც ასე ამაყობდნენ ქართველები და არა მარტო ქართველები. მე საშინლად გულსა მტკენს და მაღიზიანებს ბევრი ქართველი ახალგაზრდის ასეთი დაცემა. მაგრამ, იმედია, ის დემოკრატიული ძალები, რომლებიც ამჟამად სათავეში უდგანან საქართველოს, ქართველ ხალხთან ერთად აღმოფხვრიან „პროვინციული ფაშიზმის" ნარჩენებს და ქართველი ხალხი იმ საპატიო ადგილს დაიკავებს, მსოფლიო ცივილიზაციაში, რაც მას აუცილებლად ეკუთვნის.

თეიმურაზ გეწაძე,
საზოგადოება „ზესტაფონის" პრეზიდენტი.

სურათზე: გაზეთ „ვეჩერნაია მოსკვას" საიუბილეო ნომრის პირველ გვერდზე ოთარ კვანტრიშვილი (მარცხნივ) გენადი ხაზანოვთან ერთად.

ფირმა
«ვარაზი»
გთავაზობთ
იმპორტული წარმოების
ყველა ტიპის ავეჯს,
ასევე მაცივრებს,
გაზქურებს, ელექტროქურებსა
და აბაზანის
მოწყობილობებს.
ფირმა იძლევა უსასყიდლო
მომსახურეობის გარანტიას.
მიმართეთ ფირმა „ვარაზს" და თქვენ
კმაყოფილი დარჩებით.
ვღებულობთ შეკვეთებს ნებისმიერი
იმპორტული ავეჯის შესაძენად.
ვარაზი
VARAZI 92
ჩვენი მისამართია:
მ. კოსტავას № 72 (პოლიტექნიკური
უნივერსიტეტის მე-3 კორპუსის წინ),
ტელ: სამსახური 36-10-19,
სახლის საათებში 22-31-34; 98-36-54.

შვედეთ საქართველოს
ერთობლივი ფირმა
«არეთე»
იწვევს სამუშაოდ კაზინო (კლუბ ბარში) ახალგაზრდა
გოგონებს დილერის და მეტრდოტელის [illegible]
[illegible]
[illegible]
მიმართეთ შემდეგ მისამართზე:
მარჯანიშვილის № 1 ფილარმონიის ხელმწიფო
[illegible] კაზინო [illegible]
ყოველდღე 17-დან 21 საათამდე,
ტელ: 98-78-01.

ფირმა «მაგი»
გთავაზობთ ბინებს
ტურებს შემდეგ
ქვეყნებში:
ჩინეთი: ქ. ურუმჩი; ქ.პეკინი.
ირანი: ქ. თეირანი
სირია: ქ. ალეპო
ასევე ტელე-რადიო აპარატურის
შეძენას ქვეყნების
ხელსაყრელ ფასებში.
ჩვენი მისამართია: რ. თაბუკაშვილის
(ყოფილი მაჩაბლის) ქ. № 5 ოთახი 5.
ტელ: 98-23-32.

მიუხედავად საქართველოს მხარის მზადყოფნისა...

იმის გამო, რომ ჭიანურდება გადაწყვეტილება ექსპერტიზის შესახებ

რუსეთიდან, გერმანიიდან და დიდი ბრიტანეთიდან ჩამოსული ოთხი სამედიცინო ექსპერტი, რომლებიც თბილისში კვირაზე მეტ ხანს იმყოფებიან ექსპრეზიდენტის გვამის სამედიცინო ექსპერტიზისათვის, დღეს ტოვებენ საქართველოს. გამგზავრების მიზეზების მოტივირებისას მათ განაცხადეს, რომ სხვადასხვა გარემოებათა გამო ჭიანურდება გადაწყვეტილება ექსპერტიზის შესახებ. კერძოდ, როგორც მათ აღნიშნეს, ამის წინააღმდეგია, უწინარეს ყოვლისა, ექსპრეზიდენტის ოჯახი.

ამავე დროს თუ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო მათ კვლავ მოიწვევს ექსპერტიზაში მონაწილეობისათვის, ისინი მზად არიან ისევ ჩამოვიდნენ თბილისში.

23 იანვარს ჩეჩნეთის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტს ზელიმხან იანდარბიევს გაეგზავნა მორიგი დეპეშა, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილე ავთანდილ მარგიანი:

„საქართველოს მთავრობა გაცნობებთ, — ნათქვამია დეპეშაში, — რომ, მიუხედავად საქართველოს მხარის მზადყოფნისა შეასრულოს ზვიად გამსახურდიას ოჯახის მოთხოვნები, მათ შორის ცხედრის მხოლოდ ამოცნობის თაობაზე, 1994 წლის 21 იანვარს გამსახურდიას ნათესავებისა და თანამოაზრეების წარმომადგენლებისაგან შემდგარი დელეგაციის ქალაქ გროზნოში მის მეუღლესთან შეხვედრის შედეგებმა, სამწუხაროდ, გააბათილა მთელი ჩვენი ძალისხმევა.

ჩვენ ვთხოვთ თბილისში მყოფ საერთაშორისო დამოუკიდებელ ექსპერტებს დარჩნენ ამა წლის 24 იანვრის 19 საათამდე, რათა მონაწილეობა მიიღონ გვამის ამოცნობაში თქვენი წარმომადგენლების დასწრებით. გთხოვთ გვაცნობოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებთ".

როგორც ამ დეპეშიდანაც ჩანს, საქართველოს ოფიციალური ხელისუფლებისა და სამართალდამცველი ორგანოების მიდგომაში ექსპრეზიდენტის ოჯახის მოთხოვნათა დაკმაყოფილების შესაძლებლობისადმი აზრთა გარკვეული სხვადასხვაობა გამოიკვეთა. საქართველოს ხელმძღვანელობა, ჰუმანური მოსაზრებებით, წმინდა ადამიანური პრინციპების გათვალისწინებით, მზად არის მიიღოს გამსახურდიას ოჯახის პირობები, მაშინ როცა რესპუბლიკის პროკურატურასა და უშიშროების სამინისტროს საჭიროდ მიაჩნიათ საპროცესო სამართლებრივი ნორმების დაცვა, რომლებიც ამგვარ შემთხვევებში ითვალისწინებენ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებას სიკვდილის ჭეშმარიტი მიზეზის დასადგენად. გარდა ამისა, სამართალდამცველ ორგანოებს აქვთ მონაცემები, რომელთა მიხედვით ზ. გამსახურდია მძიმე სენის მსხვერპლი შეიძლება გამხდარიყო. მანანა არჩვაძემ, თუმცა დაადასტურა ზვიად გამსახურდიას სიკვდილის ფაქტი, მაგრამ უარი თქვა გაეცა წერილობითი რწმუნება, რომ მომავალში პრეტენზიებს არ წაუყენებს საქართველოს ოფიციალურ ხელისუფლებას.

ავთანდილ მარგიანის მიერ ხელმოწერილმა დეპეშამ ერთხელ კიდევ დაადასტურა საქართველოს მთავრობის მზადყოფნა შესრულდეს მოთხოვნები გროზნოდან. მაგრამ, 24 იანვარს თბილისში მოვიდა პასუხი ჩეჩნეთიდან, რომელიც კვლავ იმეორებს ექსპრეზიდენტის ოჯახის იგივე პირობებს.

იმავე დღეს ბატონმა მარგიანმა ჩეჩნეთის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტს ზელიმხან იანდარბიევს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: **„გამოვთქვამთ მადლობას, ზ. გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებულ საკითხთა შეთანხმებაში თანამშრომლობის სურვილისათვის. სამწუხაროდ, ჩვენმა საერთო ძალისხმევამ მთავრობის დონეზე გადაწყვეტილიყო დაუსაბუთებელი მოთხოვნები, რომლებსაც კატეგორიული ფორმით აყენებს გამსახურდიას მეუღლე, შედეგები ვერ მოიტანა. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს მთავრობა მზად არის უზრუნველყოს აღნიშნული მოთხოვნები, რაც ეწინააღმდეგება ელემენტარულ სამართლებრივ ნორმებს, მიუხედავად ცხედრის მხოლოდ ამოცნობაზე, ჩვენი თანხმობისა — გარკვეული პასუხი არ მიგვიღია. ამიტომ იძულებული ვართ, დღეს, 24 იანვარს სამშობლოში გავგზავნოთ მოწვეული საერთაშორისო ექსპერტები. საქართველოს მთავრობამ სთხოვა პროფესორ გურამ შარაძეს განაგრძოს მუშაობა გამსახურდიას ოჯახთან ამ საკითხების შესათანხმებლად. ერთხელ კიდევ მადლობას მოგახსენებთ თანამშრომლობისათვის".**

ექსპრეზიდენტის მომხრეთა აქცია არ გამართულა

24 იანვარს, დაახლოებით 15 საათზე, საქართველოს ექსპრეზიდენტის მომხრეთა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა, ძირითადად, ქალებისაგან შემდგარმა, სცადა მიეწყო შიმშილობა საქართველოს პარლამენტის შენობასთან. ისინი მოითხოვდნენ ზვიად გამსახურდიას ოჯახის სურვილების დაკმაყოფილებას, რომელიც წინააღმდეგია ექსპრეზიდენტის გვამის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზისა. სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლებმა არ დაუშვეს აქციის ჩატარება და დააკავეს ათამდე მისი მონაწილე, რომლებიც არ დაემორჩილნენ პოლიციელთა მოთხოვნებს. მთელმა ინციდენტმა 20 წუთზე მეტ ხანს არ გასტანა. მოძრაობა რუსთაველის პროსპექტზე არ შეწყვეტილა. დაკავებულთა უმრავლესობა განთავისუფლებულია.

სავაჭრო-საბირჟო ცენტრი
«ქარვასლა»
გთავაზობთ:
რუსული წარმოების [illegible]
АШИ 250 М წარმადობა — 200 კგ/სთ. გამოსავალი 30 %
ფასი 4500000 მან.
[illegible] ქ. 42
VI სართ.
39-04-94,
39-18-96,
23-18-53.

საშუამავლო კომერციული ფირმა
«რენესანსი»
[illegible]
ჩვენი მისამართია: [illegible] ქ. № 1
ტელეფონები: 93-52-63, 23-58-55

ინფორმაცია 93

საქართველოს ჟურნალისტის სახლში

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია და ჟურნალისტიკის ვეტერანთა საბჭო აწყობენ შეხვედრას ცნობილ უხუცეს ჟურნალისტთან, საზოგადო მოღვაწესთან ანტონ კილენჩეროძესთან, რომელსაც 90 წელი შეუსრულდა.

შეხვედრა გაიმართება 26 იანვარს, ოთხშაბათს, პირველ საათზე ჟურნალისტის სახლში.

მისამართი: თბილისი, ერეკლე II-ის მოედანი, 8.

ხანძარი სასტუმრო „იმერეთში“

„საქინფორმის“ კორესპონდენტის ცნობით, 23 იანვარს 01 საათზე გაურკვეველი მიზეზით ხანძარი გაუჩნდა ზესტაფონის სასტუმრო „იმერეთს“. ხანძრის შედეგად დაიწვა სასტუმროს მეოთხე სართული, სადაც იმყოფებოდნენ დროებით იძულებით გადაადგილებული მოქალაქეები.

წინასწარი მონაცემებით ხანძრის შედეგად დაიღუპნენ გიორგი თაბაგარი და ირაკლი ვარდოსანიძე.

ხანძრის გამომწვევი მიზეზები დგინდება.

ჯოხარ დუდაევი გროზნოში ზვიად გამსახურდიას ცხედრის გადასვენების შესახებ

22 იანვარს ღამით გროზნოდან თბილისს დაბრუნდა საქართველოს დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ პროფესორი გურამ შარაძე, საქართველოში მცხოვრები ზ. გამსახურდიას ზოგიერთი ნათესავი და თანამებრძოლი, აგრეთვე რესპუბლიკის სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლები. დელეგაციის წევრები შეხვდნენ ჩეჩნეთის პრეზიდენტს ჯოხარ დუდაევს, ვიცე-პრეზიდენტს ზელიმხან იანდარბიევს. შეხვედრების დროს განიხილეს დასავლეთ საქართველოდან გროზნოში ზ. გამსახურდიას ცხედრის გადასვენების საკითხები.

საქართველოს ექსპრეზიდენტის ნათესავები და თანამებრძოლები და პროფესორი გ. შარაძე შეხვდნენ აგრეთვე მანანა არჩვაძე-გამსახურდიას.

21 იანვარს საღამოს ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჯ. დუდაევმა მსოფლიო სატელევიზიო ქსელი ამბების ტელეკომპანიისათვის მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ ზ. გამსახურდიას ცხედრის დაკრძალვა გროზნოში პატივია მთელი ჩეჩნეთისათვის.

მან აგრეთვე ხაზი გაუსვა, რომ „ვაპირებთ ზ. გამსახურდია გროზნოში დავასაფლავოთ მოედანთან, სადაც ახლა მზადდება ჩეჩენი ხალხის დეპორტაციის დღისადმი მიძღვნილი კომპლექს-მემორიალი. ეს დღე 23 თებერვალს აღინიშნება“.

„იბერიის“ ლენტიდან

თბილისი. თბილისის მერიის პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ გლდანის რაიონში, ქალაქის პოლიციამ ჩაატარა ფართომასშტაბიანი ღონისძიება. ამოღებულია 10 ავტომატი, მაკაროვის სისტემის პისტოლეტები, გატაცებული 15 ავტომანქანა. დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი ამოღებულია სასტუმრო „ბახტრიონიდან“.

ამგვარი ოპერაციები ჩატარდება დედაქალაქის ათივე რაიონში.

თბილისი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრმა იოსებ გოგიტიძემ განაცხადა, რომ აჭარაში გრძელდება დაუნდობელი ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ, რის შედეგადაც თითქმის ყველა კრიმინალური ელემენტი დააპატიმრეს, ან გაუშვეს აჭარიდან.

თბილისი. „იბერია“ გაზეთ „იზვესტიაზე“ დაყრდნობით იტყობინება, რომ შარშან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ასლან აბაშიძეს ოთხჯერ დაესხნენ თავს მისი ფიზიკური განადგურების მიზნით. ამჟამად, აჭარის სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაკავებულია მორიგი ტერორისტი. მიმდინარეობს გამოძიება.

თბილისი. აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელმძღვანელობამ გალის რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად დანიშნა ვინმე ზარანდია, რომელიც ეროვნებით ქართველია, მაგრამ მხარს უჭერს არძინბას მიერ გატარებულ პოლიტიკურ კურსს.

ჩვენი ინტერვიუ

მშვიდობა თქვენ ყველას, ქართველებო!

ისრაელში ედუარდ შევარდნაძის ვიზიტის წინ ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ინტერვიუ მისცა დამოუკიდებელი საინფორმაციო სააგენტოს „თთ“-ს (თბილისი-თელ-ავივი) ხელმძღვანელს, ჟურნალისტს მიხეილ ფიჩხაძეს ქართული და ისრაელის პრესისათვის. გთავაზობთ ამ ინტერვიუს.



— უპირველეს ყოვლისა, ბატონო პრემიერ-მინისტრო, მსურს თქვენი თავი წარვუდგინო ქართველ მკითხველს, უფრო სწორედ, შევახსენო რამდენიმე დეტალი თქვენი ცხოვრებიდან. თქვენი სახელი ხშირად გაისმის საქართველოს რადიოთი და ტელევიზიით, ხშირად ჩნდება ჩვენში გამომავალი გაზეთების ფურცლებზე...

მაშ ასე, იცხაკ რაბინი. დაიბადა 1922 წელს იერუსალიმში, რეპატრიანტების ოჯახში. სწავლობდა მუშათა სკოლაში, შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, 27 წელი გაატარა არმიაში. 1964-1968 წლებში იყო ისრაელის არმიის გენერალური შტაბის უფროსი, 1968 წელს — ისრაელის ელჩი აშშ-ში. 1974 წელს მთავრობის მეთაურია. 1990 წელს სათავეში ედგა მთავრობის ოპოზიციას. 1992 წლიდან კვლავ მთავრობის მეთაურია.

მუშაობს დღე-ღამეში 15 საათს. ორშაბათიდან ოთხშაბათამდე ცხოვრობს იერუსალიმში პრემიერ-მინისტრის რეზიდენციაში. ხუთშაბათს გადადის თელ-ავივში და მუშაობს თავდაცვის მინისტრის კანცელარიაში. დასვენების ერთადერთი დრო აქვს შაბათი დილა. ერთი საათის განმავლობაში თამაშობს ჩოგბურთს თელ-ავივში თავის ბინის შორიახლოს. ოპოზიციონერი პოლიტიკოსები არ უარყოფენ იმას, რომ 70 წლის ასაკშიც კი რაბინი საოცარი შრომისუნარიანობით გამოირჩევა.

— ხომ არ დაამატებდით რამეს?

— მსურს შესწორება შევიტანო ჩემს თქვენეულ ბიოგრაფიაში. მე გავხდი ოპოზიციის ლიდერი 1992-ში და არა 1990-ში. კიდევ ერთი მცირე შენიშვნა, ამჟამად მე 70 წელზე ოდნავ უფრო ხნიერი ვარ.

— ისრაელის პრესა გვამცნობს, რომ თქვენ მეტ პოპულარობას ინარჩუნებთ, ვიდრე თქვენი მთავრობა. ამას წინათ ჩატარებულმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა 50 პროცენტზე მეტი კმაყოფილია თქვენი და მხოლოდ 40 პროცენტი — მთავრობით. კარგია ეს თუ ცუდი?

— მწამს, რომ 1992 წლის არჩევნებში ისრაელში მე ნდობა გამომიცხადეს როგორც ხელმძღვანელს. ამ თანამდებობაზე ჩემი ყოფნის პირველი წლის შემდეგ ეს მთავრობა ხალხის ფართო მხარდაჭერით სარგებლობს. მე დავიმსახურე ისრაელის ხალხის ნდობა, რწმენა და ამის საფუძველზე ვაგრძელებ ხალხის სამსახურს.

— კიდევ ერთი „პირადული“ ხასიათის შეკითხვა: როგორ ეპყრობით მათ, ვინც არ იზიარებს თქვენს პოლიტიკურ შეხედულებებს? —

— დემოკრატიის პირობებში ყოველთვის არსებობენ ადამიანები, რომლებიც არ ეთანხმებიან თავიანთ მთავრობას და პრემიერ-მინისტრს. დემოკრატია ვერ იარსებებს ოპოზიციის გარეშე. მე აბსოლუტურად ვუჭერ მხარს დემოკრატიას ისრაელში.

— დღეს საქართველოსთვის ძალზედ აქტუალურია კონსტიტუციის საკითხი. გაგონილი მაქვს, რომ ისრაელში მიმართავენ დიდი ბრიტანეთის მაგალითს, რომელსაც არა აქვს კონსტიტუცია, და, ამის მიუხედავად, ის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დემოკრატიული სახელმწიფოა. ისრაელში კონსტიტუციის წინააღმდეგ მკვეთრად ილაშქრებენ რელიგიური პარტიები. „ჩვენ უკვე გვაქვს კონსტიტუცია, — ამტკიცებენ ისინი, — ტანახი, კანონთა კანონი, და ებრაულ სახელმწიფოს სხვა კანონები არ სჭირდება“. როგორია თქვენი აზრი?

— ისრაელს არა აქვს არც დაუწერელი კონსტიტუცია, ინგლისის მსგავსად და არც ოფიციალური კონსტიტუცია, როგორც ეს ამერიკის შეერთებულ შტატებშია. ისრაელს აქვს „ძირითად კანონთა“ კრებული, რომელიც ასრულებს ოფიციალური კონსტიტუციის დანიშნულებას. „ძირითადი კანონები“ ეხება ქნესეთს, მთავრობას, პრეზიდენტს, სასამართლოებს, ისრაელის თავდაცვის ძალებს, ეკონომიკას და ა. შ. მრავალი წლის მანძილზე მე მხარს ვუჭერდი ცვლილებებს ჩვენს სისტემაში, მაგალითად, პრემიერ-მინისტრის პირდაპირ არჩევნებს, რაც განხორციელდება კიდეც მომავალი არჩევნების დროს. მე, აგრეთვე, მხარს ვუჭერ შესწორებას ამჟამად მოქმედ კანონში, რომლის თანახმადაც პრემიერ-მინისტრს მიეცემა უფლება დაასახელოს თავისი კაბინეტი ქნესეთში განხილვის გარეშე.

თბილისი-თელ-ავივი

תביליסי-תל-אביב

— ქართველებს, ისევე როგორც ისრაელებს, აწუხებთ ავტონომიების საკითხი. ითვლება, რომ მსოფლიოში ჯერ არ არსებობს ავტონომიის ზუსტი განსაზღვრება. ეს განსაზღვრება ძალზე ბუნდოვანია, მისი არსია ორი მხარის შეთანხმება. თქვენ როგორ გესმით ავტონომიის ცნება?

— ჩვენ მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით პალესტინელებთან დროებითი ავტონომიის შესახებ, რომელიც სამიდან ხუთ წლამდე გასტანს. ამ ხნის მანძილზე პალესტინელები პასუხისმგებელნი იქნებიან თავიანთ საშინაო საქმეებზე. ისრაელი პასუხისმგებელი იქნება უშიშროებაზე, საგარეო საქმეებზე და ებრაულ დასახლებებზე. არის საკითხები, რომლებზეც ჩვენ პასუხისმგებლობას გავინაწილებთ და ამ განსაკუთრებულ საკითხებზე ცალკე მოვილაპარაკებთ.

— მე ამოვიწერე ზოგიერთი მონაცემი ისრაელსა და საქართველოზე: მოსახლეობის ერთი და იგივე რაოდენობა, თქვენთანაც და ჩვენთანაც ცხოვრობენ იუდეველები, ქრისტიანები, მაჰმადიანები. ორივე ენა ძალზე ძველია, ორივე მძიმე ისტორიული ხვედრის ხალხია...

— საქართველო არის ერთ-ერთი იმ ძალზე მცირე ადგილებიდან, სადაც მოქალაქეებს არასოდეს განუცდიათ ძალადობა თავიანთი ებრაული წარმომავლობის გამო. რამდენადაც ჩვენს ორივე ხალხს მძიმე ისტორიული ბედი აქვს, ჩვენ ყოველთვის გვაკავშირებდა მეგობრული თანაარსებობა. მომავალში ეს მეგობრული თანაარსებობა კიდევ უფრო უნდა განვამტკიცოთ.

— რა იციან ისრაელში შევარდნაძის, მისი სამშობლოს შესახებ?

— ედუარდ შევარდნაძემ გმირული როლი შეასრულა ყოფილ საბჭოთა კავშირში. მან გზა გაუხსნა ებრაულ ემიგრაციას და ეს ჩვენ კარგად გვახსოვს. ჩვენს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის განვითარება ორივე მხარისათვის მნიშვნელოვანია. დიდ წარმატებებს ვუსურვებთ ბ-ნ შევარდნაძეს, როგორც სახელმწიფოს მეთაურს. ველით ისრაელში მის ახალ ვიზიტს.

— ბატონო პრემიერ-მინისტრო, ისრაელის პოლიტიკოსებს მკაფიოდ წარმოუდგენიათ და სხვებსაც აჩვენებენ, თუ რა სურთ, ვთქვათ, აშშ-სგან. არანაკლებად მკაფიოდ და რეალურადაა გამოხატული ისრაელის ინტერესები ახლო აღმოსავლეთში. ამავე დროს; როგორც ისრაელის პრესა იუწყება, ქვეყანას არ გააჩნია პოლიტიკური დოქტრინა რუსეთის მიმართ, ანუ კურსი არ გააჩნია, ინტერესები კი აქვს. „როგორია საქართველო-ისრაელის გეოპოლიტიკური სიტუაცია?

— მიმაჩნია, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის პერსპექტივები შესანიშნავია. თქვენ ცხოვრობთ რეგიონში, რომელიც ახლო აღმოსავლეთის ზღურბლია. ამდენად მშვიდობა და სტაბილურობა ახლო აღმოსავლეთში მხოლოდ ხელს შეუწყობს მშვიდობისა და სტაბილურობის გაძლიერებას თქვენს რეგიონში და, პირიქით.

— ისრაელი, როგორც რეპატრიანტების ქვეყანა, გახდა საქართველოდან წასულ ებრაელთა საერთო სახლი. რას იტყოდით მათ შესახებ?

— მე პატივს ვცემ და ვაფასებ იმას, რომ საქართველოში მცხოვრებმა ებრაელობამ შეინარჩუნა სიონის სიყვარული. ისინი შესანიშნავად იყვნენ წარმოდგენილნი ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ემიგრირებულთა შორის და ასევე არიან წარმოდგენილნი ისრაელში მცხოვრებ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ემიგრანტთა შორის. ხაზს გავუსვამ, რომ საქართველოდან ემიგრაციას არ ჰქონდა დევნის არავითარი ნიშანწყალი. პირიქით, ქართველი ებრაელები ისრაელში საოცრად ნაღვლობენ საქართველოზე. მათი ჩამოსვლის მიზეზი გახლდათ იმ ლოცვისადმი ერთგულება, რომელშიც ყოველი ებრაელი სიონში დაბრუნებაზე ოცნებობს.

— მალე მსოფლიო 21-ე საუკუნეში შეაბიჯებს. როგორ ფიქრობთ, მომავალ საუკუნეში განხორციელდება ებრაული სიბრძნე, რომ სამყარო ემყარება სამართლიანობას, სიმართლესა და მშვიდობას?

— ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ და მცდელობას არ დავაკლებთ, რათა ებრაული შეხედულებების თანახმად, სამყარო ემყარებოდეს სამართლიანობას, სიმართლეს და მშვიდობას. ამას მე მთელი სულითა და გულით ვუსურვებ ჩვენს ორივე ქვეყანას.

— როგორც ქართველები, ასევე ებრაელები ერთმანეთს ესალმებიან ძველი მიმართვით — მშვიდობა და გამარჯვება! დღეს ორივე [illegible] სჭირდება ჩვენს ხალხებს...

— მე დავამატებდი ჩვენს უძველეს მისალმებას, — „შალომ ალეიხემ“, — მშვიდობა თქვენ ყველას!

კაცმა რომ თქვას, დღეს ენა მუცელში უნდა ჩავიგდოთ და მიწიერ სატკივარზე ხმა ჩავიკმინდოთ. მაგრამ არც ეს იქნებოდა მართალი. მძიმე ვითარებაში წმინდა ტაძრები აიგო სამაჩაბლოს სოფელ ქურთაში, გარდაბანში. აინთო სანთელი, აღევლინა ლოცვა, და ეს ყოველივე შესანიშნავია, ომს, გაჭირვებას მუდამ ჯვარიც შველოდა. ამიტომ ყველა უმძიმეს ვითარებაში, უმთავრესთან ერთად, არ უნდა დაგვავიწყდეს ბევრი რამ, რაც აღელვებს ადამიანებს, ამ შემთხვევაში ფშავის არაგვის მკვიდრთ. მათი სახელით გვინდა პირდაპირ მივმართოთ ადრესატებს.

ფშავიდან შემონათვალი

ჩვენს გასაჭირზე

საქართველოს კულტურის მინისტრს დ. მაღრაძეს: — ბატონო დავით! სამი წლის წინათ თქვენი სამინისტროს ძეგლთა დაცვის მაშინდელმა გაერთიანებულმა საზოგადოებამ და მთავარმა სამმართველომ დაიწყო ფშავის მთავარი სალოცავის — ლაშარის ჯვრის საკულტო კომპლექსის აღდგენა: გაკეთდა პროექტი, გამოიყო თანხა, გამოინახა რესტავრატორ-შემსრულებელიც, მაგრამ მის დამთავრებას ბოლო არ უჩანს... იქნებ?..

საქართველოს არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა მინისტრს გ. მირიანაშვილს: — ბატონო გურამ! თქვენს სამინისტროს შესაბამის საპროექტო ინსტიტუტთან ერთად ცდა არ დაუკლია, რათა ზუსტად და დროულად აღენუსხა დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთისა და ახალგორის რაიონებში მიწისძვრის შედეგად დანგრეული სახლები, მატერიალური კულტურის ძეგლები. მთავრობაც არაერთგზის შეაწუხეთ, რომ დაზარალებულთათვის დახმარების ან კრედიტის სახით გამოეყოთ სულ ცოტა ორი მილიარდი კუპონი. საქართველოს მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა მთელი წელიწადი ფეხი ითრიეს ამ სახსრების გამოყოფაზე. თუმცა მათ, როგორც ამბობენ, ჩვენი დროის სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილებს დიდი სიხარულით ჩაუჩხრიალეს მილიარდები. როგორც იქნა, ამ ერთი თვის წინათ მთავრობამ მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყო 700 მილიონი კუპონი. ეს თანხა ზღვაში წვეთია, მაგრამ ვინ ჩივის. ამ რაიონებში ჯერ რეალურად არც ერთი მშენებელი არ ჩასულა, რომ ქვა ქვაზე დაედო. არადა, ზამთარია, ცივა. ასზე მეტი ოჯახი კარვებშია.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ა. ჯორბენაძეს: — ბატონო ავთანდილ! თქვენ ახლახანს მოხვედით ამ პოსტზე, მაგრამ მაინც გეტყვით. რამდენიმე წელიწადია დუშეთის რაიონის სოფელ მაღაროსკარში, სადაც 1000-ზე მეტი მოსახლეა, აღარ მუშაობს არც ექიმი-თერაპევტი, არც ექიმი-სტომატოლოგი, არც აფთიაქის გამგე-პროვიზორი. რაც შეეხება უკანაფშავის საკრებულოს და მის სოფლებს, იქ არათუ ექიმი, კვალიფიციური ექთანიც კი არა ჰყავთ.

გარდა ამისა, ფშავში ძველი საავადმყოფო-ამბულატორია დაანგრიეს, პროექტიც შედგა, ახალი უნდა აშენებულიყო, მაგრამ ამისათვის აღარავისა სცხელა. ავადმყოფები 100-150 კილომეტრზე მიგვყავს დუშეთსა თუ თბილისში. მაღაროსკარში დარჩა კოლმეურნეობის ადმინისტრაციული შენობა, რომელიც სრულიად საკმარისი იქნება საავადმყოფო-ამბულატორიის მოსაწყობად. თქვენ თუ ჩაერევით, რაიონის გამგეობა ამ შენობას მოსახლეობას დაუთმობს და სამკურნალო ცენტრიც გვექნება. ექიმებსაც ალბათ გამოგვიგზავნით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრს გ. კვესიტაძეს: — ბატონო გიორგი! მთაში მთავარი საარსებო წყარო და სიმდიდრე მაინც მეცხოველეობაა. ამ საქმეს კი საზამთრო და საზაფხულო საძოვრები სჭირდება. საზაფხულო საძოვრებით კიდევ იოლას გავალთ, მაგრამ ზამთარში ყიზლარი რთული და მიუწვდომელი ტრასა გახდა ჩვენებური გლეხკაცობისათვის. ამიტომ საჭიროა მთავრობის დონეზე ზამთრის საძოვრები გამოიყოს შირაქის რეგიონში, სადაც ფშავს კოლექტივიზაციამდე თავისი ადგილები ჰქონდა. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაც განიავდა. რაც გადარჩა, ისიც არავინ იცის, ვის ემსახურება. ვფიქრობთ, სამინისტროს მეტი წესრიგის დამყარება შეუძლია ამ საქმეში!

• • •

ფშავში ცხოვრება ძალზე გაჭირდა: მოსახლეობის ნახევარი დაუსაქმებელია, ნახევარის საშუალო-თვიური შრომითი ანაზღაურება კი 6-7 ათასი კუპონია. არ დადის ავტობუსი, არ მუშაობს ფოსტა, ტელეგრაფი, რადიო, ტელევიზორი, ფურნე, აბანო, სასტუმრო, სასადილო. რა ვქნათ? თუ ასე გაგრძელდა, ჩვენი მთა, მათ შორის ფშავიც, კიდევ უფრო დაიცლება და გავერანდება.

იმედი გვაქვს, რომ თქვენ, მთავრობის წევრები და სხვა თქვენი კოლეგა მინისტრები დაინტერესდებით ჩვენი ყოფით და ლაშარელასავით ამ უჟამო ჟამს დაუზარებლად ჩამოგვეშველებით.

ავთანდილ ნაყეური,
მაღაროსკარის სასოფლო საკრებულოს თავმჯდომარე;
იოსებ ციბროშვილი,
შუაფხოს სასოფლო საკრებულოს თავმჯდომარე;
ბივი თურმანაული,
მეცნიერებათა აკადემიის ფშავის კომპლექსური შესწავლის ექსპედიციის წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

გვექნება ჯიბის ტელეფონი

საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროში მიმდინარეობს მოლაპარაკება ამერიკულ კორპორაცია „შომან ინტერნეიშენ“-ის პრეზიდენტთან ბატონ ჰარი გერცმანთან. მასთან ერთად საქართველოში ჩამოვიდნენ „იუეს ინტელკომის“ მთავარი ინჟინერი რიჩარდ ჰედოკი და სხვა სპეციალისტები. მათ უკვე შეისწავლეს იმ პროექტის განხორციელების შესაძლო გზები, რომლის მიხედვითაც განზრახული აქვთ საქართველოში შექმნან და ივლისის დასაწყისისათვის აამოქმედონ მობილური ე. წ. ფიჭური სატელეფონო სისტემები. მინიმუმ 2500 აბონენტს მიეცემა ამით სარგებლობის საშუალება. ეს ჩვენს სინამდვილეში სრულიად ახალი სისტემა გახლავთ. იგი მთელ მსოფლიოში სწრაფი ტემპით ვითარდება. მალე საქართველოს მოქალაქეებს, საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელებსაც ექნებათ საშუალება ყველგან ატარონ თავიანთი ტელეფონი და ჩვეულებრივ დაუკავშირდნენ სასურველ აბონენტებს.

საზღვარგარეთ ასეთი საშუალებით ერთმანეთს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში უკავშირდებიან. საერთოდ, ამგვარი მომსახურება ყველაზე ძვირად ღირებულია ევროპის ქვეყნებში და იგი, რა თქმა უნდა, არც ჩვენთან იქნება იაფი. მიუხედავად ამისა, ეს ახალი საქმეა და იგი საქართველოს ეროვნული კავშირგაბმულობის შემდგომი სრულყოფის საქმეში წინ გადადგმული ნაბიჯია.

მზია ნარმანია,
საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი.

ხსოვნა

იოსებ გოგიტიძე



საქართველოს სამთოელთა რიგებს 79 წლის ასაკში გამოაკლდა დამსახურებული ინჟინერი, სასარგებლო წიაღისეულის პირველადი გადამუშავების [illegible] სპეციალისტი, საქართველოს მეცნიერებათა [illegible] საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის ყოფილი უფროსი მეცნიერი თანამშრომელი იოსებ გერმანეს ძე გოგიტიძე. იგი დაიბადა ცნობილი საზოგადო და ქართული კინოს მოღვაწის გერმანე გოგიტიძის ოჯახში.

1937 წელს საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ხანგრძლივი, ნაყოფიერი ცხოვრების მანძილზე ი. გოგიტიძე უანგაროდ, თავდადებით ემსახურება საქართველოს სამთო მრეწველობის პრაქტიკული და მეცნიერული საკითხების გადაჭრას.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ი. გოგიტიძე მოქმედ არმიაშია, სადაც 1946 წლამდე ქართული დივიზიის საარტილერიო ლეგიონის შტაბის უფროსის მოვალეობას ასრულებს. დემობილიზაციის შემდეგ მისი მოღვაწეობა დაკავშირებულია საქართველოს სამთო მრეწველობის დარგებისა და ობიექტების დაპროექტებასა და განვითარებასთან.

1980 წლიდან თითქმის სიცოცხლის ბოლომდე ი. გოგიტიძე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ კომისიაში, სადაც თავისი ერუდიციით, საქმის ღრმა ცოდნითა და შესანიშნავი ადამიანური თვისებებით საყოველთაო პატივისცემა და ავტორიტეტი მოიხვეჭა.

ი. გოგიტიძე დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო შრომები, ორი მონოგრაფიის თანაავტორია. მისი ნათელი სახე სამარადისოდ დარჩება მეგობრებისა და კოლეგების ხსოვნაში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისია, საქართველოს სამთოელთა საზოგადოება.

რეზო ჯინჯოლია



მოულოდნელად გარდაიცვალა დამსახურებული გამომგონებელი, ჩაის მრეწველობის ღვაწლმოსილი მუშაკი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რეზო რაჟდენის ძე ჯინჯოლია.

რეზო ჯინჯოლია დაიბადა 1937 წელს ქუთაისში ცნობილი ინტელიგენტის ოჯახში. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის წარმატებით დამთავრების შემდეგ იგი იქვე იწყებს სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. ჩაის ქიმიისა და ტექნოლოგიის დარგში ჩატარებული მნიშვნელოვანი სამუშაოები დაედო საფუძვლად მის საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებს, რამდენიმე მონოგრაფიასა და ასზე მეტ სამეცნიერო შრომას, რომელთაც უაღრესად დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა ჩაის ტექნოლოგიის კათედრაზე დოცენტის, პროფესორის თანამდებობებზე, იყო ამავე ფაკულტეტის დეკანი. თავისი ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის მანძილზე მან ქვეყანას აღუზარდა ჩაის დარგის ასობით სპეციალისტი.

რეზო ჯინჯოლია სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას აქტიურად უთავსებდა პრაქტიკულ საქმიანობასაც. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო საწარმოო გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ უფროსის პირველ მოადგილედ, მთავარ ტექნოლოგად, სხვადასხვა პასუხსაგებ სამუშაოზე, ხოლო 1988-92 წლებში სათავეში ედგა ჩაის, სუბტროპიკული კულტურების წარმოებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას. სწორედ აქ გამოვლინდა სრულად მისი როგორც მეცნიერისა და პრაქტიკული სამეურნეო საქმიანობის ხელმძღვანელის ნიჭი და უნარი.

რეზო ჯინჯოლიას — გულისხმიერი, პრინციპული, უსაზღვროდ მოსიყვარულე და თანამდგომი პიროვნების, ახალგაზრდობის საუკეთესო აღმზრდელის, კარგი მეგობრის, შესანიშნავი მეუღლისა და მამის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი ახლობლებისა და მეგობრების გულში.

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო; საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი; ჩაის, სუბტროპიკული კულტურების წარმოებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება.

გახსენება

რევაზ ბარქალაია



ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც იგი ჩვენს შორის აღარ არის. დღეს რეზო ბარქალაიას 67 წელი შეუსრულდებოდა. მაგრამ აღარ დასცალდა. იგი მუდამ გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით, საქმის ღრმა ცოდნით, ნიადაგ ანგარიშს უწევდა ყველას, ყველაფერს. სწორედ ამიტომ შენს სახელს ყველა განსაკუთრებული სითბოთი წარმოვთქვამდით და ეს ბუნებრივად მიგვაჩნდა, რადგან შენ ჩვენთვის იყავი და დარჩები ურთიერთსიყვარულის, სიკეთის, მეგობრობის განსახიერებად. ახლო გიცნობდა არა მარტო შენი საძმო, კოლექტივი, არამედ ყველა, ვისთანაც ურთიერთობა გქონია.

რეზო შესანიშნავი მეოჯახეც იყო. ერთიღა შეგვიძლია ვუთხრათ მის მშვენიერ ოჯახს — მეუღლეს, შვილებს და შვილიშვილს: რეზოს სახელი არ წაიშლება ჩვენი მეხსიერებიდან.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები, მეგობრები.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო თანაგრძნობას უცხადებს პროფესორ რევაზ ბარამიძეს დედის

მარინე ნიკოლოზის ასულ მჭედლიშვილი-ბარამიძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან, რომ ბანდიტებთან ბრძოლაში ტრაგიკულად დაიღუპა ოზურგეთის გამგებლის თანაშემწე

გიორგი (გოგიტა) ანზორის ძე ჩაგელიშვილი

და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

წიგნის თარო

ალექსანდრე ბარამიძე
ახლო წარსულიდან

ახლო წარსულიდან

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოაქვეყნა აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძის მოგონებათა მეორე წიგნი („ახლო წარსულიდან“, 1993, 800 გვ. ტირაჟი 1000, რედაქტორი ალექსანდრე გვახარია). იგი მიეძღვნა უნივერსიტეტის დაარსების 75-ე წლისთავს.

ალ. ბარამიძეს სულ მალე 92 წელი უსრულდება. მოგონებათა ავტორი მოესწრო ცარიზმის დამხობას. საქართველოს პირველი დამოუკიდებლობის დროს სწავლობდა გიმნაზიაში. მოხალისედ იმყოფებოდა სოღანლუღის ფრონტზე. შემდეგ მსახურობდა და თან სწავლობდა. 1925 წლის შემოდგომიდან დატოვეს უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად. იგი ადრე ჩაება სამეცნიერო-კვლევითსა და სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში. ბევრი რამის მომსწრე და მონაწილეა. ცოცხალი კონტაქტები და საქმიანი მიმოწერა ჰქონდა ქართველ მეცნიერ ემიგრანტებთან (ნინო და კალე სალიებთან, ვიქტორ ნოზაძესთან, გიორგი ნაკაშიძესთან), და მრავალ უცხოელ ქართველოლოგთან. მოგონებათა მეორე წიგნში უფრო ვრცლად და თავისუფლადაა შეტანილი მდიდარი საარქივო-დოკუმენტური მასალები. მათ შორის — „სუკ-ის“ საიდუმლო ფონდებიდან. ავტორი იგონებს ნიკო მარს, ექვთიმე თაყაიშვილს, ივანე ჯავახიშვილს, კორნელი კეკელიძეს, აკაკი შანიძეს, შალვა ნუცუბიძეს, პავლე ინგოროყვას, გრიგოლ და გიორგი წერეთლებს, ბორის გაპონოვს და სხვებს. წიგნში აღბეჭდილია ავტორის შეხვედრები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან, ალექსანდრიის პატრიარქთან, სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ შევარდნაძესთან.

ალექსანდრე ბარამიძის მოგონებათა მეორე წიგნი საინტერესო იქნება მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის.

„სრ“. კორ.

FEBOSI ltd

ყველას! ყველას! ყველას!

„FEBOSI LTD“ გილოცავთ ახალ წელს და გაუწყებთ, რომ ვაგრძელებთ მსმენელთა მიღებას საქართველოში პირველად შემუშავებული მეთოდით ინგლისური ენის შემსწავლელ ინტენსიურ კურსებზე. გიწვევთ ყველას, მიუხედავად ასაკისა, სქესისა და პოლიტიკური შეხედულებისა მათ, ვისაც გააჩნიათ გარკვეული საფუძველი ინგლისურ ენაში, ვისაც გაქვთ სურვილი, უმოკლეს ვადაში დაეუფლოთ ინგლისურ ენას ამერიკული ფრაზეოლოგიით და გაიღრმავოთ ცოდნა, და მათ ვინც აპირებთ საზღვარგარეთ სამუშაოდ ან სასწავლებლად გამგზავრებას.

ჩვენთან თქვენ უმოკლეს ვადაში, სულ რაღაც 10 კვირის განმავლობაში დაეუფლებით საკომუნიკაციო ინგლისურ ენას. ჩვენი მეთოდით კომბინირებულია, ორიგინალური და აპრობირებული.

ვეყრდნობით რა ჩვენს გამოცდილებას ვზრდით მომსახურების სფეროს, ვიწვევთ ბიზნესმენებს, კომერსანტებს და ყველას მათ ვისაც სურს ინგლისური ენის შესწავლა ეკონომიკური პროფილით 12 კვირიან კურსებზე. თქვენ საშუალება მოგეცემათ დამატებით შეისწავლოთ საერთაშორისო კონტრაქტების გაფორმება, საქმიანი მიმოწერა, ტერმინოლოგია და ყველაფერი ზემოთ ხსენებული საერთაშორისო სტანდარტებისა და ეთიკის დაცვით. და კიდევ ერთი სიახლე. ჩვენ ვამზადებთ მსმენელებს TOEF-ის ტესტების ჩასაბარებლად. კურსის ხანგრძლივობის ვადაა 8 კვირა.

ჩვენ კურსებზე შექმნილია კომფორტის ყველა პირობა, გათვალისწინებულია ყველა მსმენელის მოთხოვნა. ლექციების ჩატარების დრო და ტერიტორია ალტერნატიულია.

მეცადინეობები ტარდება კვირაში ხუთჯერ სამ-სამი აკადემიური საათით. გაზზოვდეთ, რომ ჩვენი რეკლამა არგუმენტირებულია გამოცდილებით და მსმენელთა შორის ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვით. საბუთების მიღება და გასაუბრება წარმოებს 28 იანვრამდე მისამართზე: მარაბლის ქუჩა №2.

ჩვენი ტელეფონია: 99-65-03 შეგიძლიათ დარეკოთ ყოველდღე კვირის გარდა ათი საათიდან თექვსმეტ საათამდე.



ფირმა «PrintShop»

უახლესი ჰოლანდიური ტექნოლოგიით!

უმოკლეს დროში!

დაგიმზადებთ უმაღლესი ხარისხის

ბეჭდებსა და შტამპებს,

სავიზიტო ბარათებს, ბლანკებსა

და ფასიან ქაღალდებს

თბილისი. ვირსალაძის ქ. № 8

ტელ.: 998696, 997712

ტურისტული ფირმა «სანტამარია»

გეპატიჟებათ ექსკურსიაზე გერმანიაში, ბულგარეთსა და პოლონეთში.

ცნობებისათვის მოგვმართეთ ტელეფონზე — 62-38-53 (საღამოს საათებში) ქ. ბათუმში ტელ: 3-66-41.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ზოზიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-28; წერილების რედაქცია 99-73-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, [illegible] 89.
ტელეფონი — 34-73-46.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА